# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 4 სექტემბერი 1997 №104 (469) ფასი 40 თეთრი

## ჩეზარეს თბილისში რობერტო ბაჯო მოჰყავს

10 სექტემბერი ქართული ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა — თბილისში პირველად ითამაშებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იტალიის ნაკრები.

2 სექტემბერს იტალიელთა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ ის ოცი კაცი დაასახელა, რომლებიც ჩვენების წინააღმდეგ სათამაშოდ მოემზადებიან. მანამდე, აგვისტოს ბოლო დღეს, მალდინიმ შვიდ ლეგიონერს დაუძახა, თუმცა, საბოლოოდ, ორი მათგანი — „მიდლსბროს" ფაბრიციო რავანელი და „დერბი ქაუნთის" სტეფანო ერანიო ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ფაბრიციოს გამო „მიდლსბროს" ხელმძღვანელებმა ერთი ამბავი ატეხეს, ჩეზარემ კაცი ტყუილად გამოგვაკლოო. რავანელი დაძახებისთანავე სამშობლოში ჩასულა, რის გამოც ჩემპიონატის მატჩი გასცდენია, საბოლოო ჯამში მშრალზე დარჩენამ კი ბრიტანელები აალელვა. „მიდლსბროს" პრეს-ატაშემ ჩეზარეს საქციელი არ მოუწონა — ხომ იცოდა, ფაბრიციო ჩვენც რომ გვჭირდებოდა, თუ თბილისში მაინც არ მიჰყავდა, რაღას იბარებდაო. მეორე უარყოფილის, სტეფანო ერანიოს ნაკრებში ვერმოხვედრის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

რავანელის ნაცვლად უფროსმა მალდინიმ რობერტო ბაჯო გამოიძახა. მსოფლიოს 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ბოლოს ნაკრებში პოლონელებთან ითამაშა და გოლიც შეაგდო. ის შეხვედრა მისთვის თითქმის 19-თვიანი სანაკრებო შესვენების შემდეგ პირველი იყო.

ასევე ნაკრებშია აწ უკვე მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდი კრისტიან ვიერი, „სკუადრა აძურაში" დებიუტისას ამ გუნდის საიუბილეო, მე-1000 გოლის ავტორი. ჩვენებთან მატჩში მისი მეწყვილე თავდასხმაში, სავარაუდოდ, „იუვენტუსის" ფილიპო ინძაგი იქნება.

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოიძახეს ანტონიო კონტე. შარშან ოქტომბერში პერუჯაში სწორედ საქართველოსთან მატჩში კონტემ ტრავმა მიიღო, თითქმის მთელი წელი გაუცდა, მაგრამ აგვისტოში დაბრუნება მეტად იღბლიანი გამოუვიდა — იტალიის სუპერთასზეც და ჩემპიონატში „ლეჩესთან" მატჩშიც გოლები შეაგდო. მისი თამაში თბილისში, ერთწლიანი სანაკრებო პრაქტიკის არქონის მიუხედავად, გამორიცხული სულაც არაა. ისე, ჩეზარეს ნაკრებში ყველაზე მეტი, 6 ფეხბურთელი, „იუვენტუსიდანაა". თანაც, 100 წლის ტურინული კლუბი თავის ფეხბურთელებს ყველა რგოლში წარადგენს.

ნაკრების კაპიტნობა, ძნელი მისახვედრი არაა, პაოლო მალდინის ხვედრია. მისი თანაკლუბელები, მეტად გამოცდილი დემეტრიო ალბერტინი და ალესანდრო კოსტაკურტა თბილისში არ ჩამოვლენ — დისკვალიფიკაციის გამო ორივეს ამ მატჩის გამოტოვება უწევს. სწორედ კოსტაკურტას შემცვლელად მიიწვია ჩეზარემ ბოლონიელი სტეფანო ტორიზი, რომლისთვისაც, თუ მოხდა და ითამაშა, საქართველოსთან მატჩი დაუვიწყარი იქნება, რადგან „სკუადრა აძურას" მაისურს პირველად მოირგებს.

მეკარეები — *ანჯელო პერუცი* (იუვენტუსი), *ჯანლუკა პალიუკა* (ინტერი); მცველები — *პაოლო მალდინი* (მილანი), *ფაბიო კანავარო* (პარმა), *ჩირო ფერარა* (იუვენტუსი), *ალესანდრო ნესტა* (ლაციო), *კრისტიან პანუჩი* (რეალი), *სტეფანო ტორიზი* (ბოლონია); ნახევარმცველები — *დინო ბაჯო* (პარმა), *ანტონიო კონტე*, *ანჯელო დი ლივიო* (იუვენტუსი), *რობერტო დი მატეო* (ჩელსი), *დიეგო ფუზერი* (ლაციო), *ატილიო ლომბარდო* (კრისტალ პალასი); თავდამსხმელები — *რობერტო ბაჯო* (ბოლონია), *პიერლუიჯი კაზირაგი* (ლაციო), *ალესანდრო დელ პიერო*, *ფილიპო ინძაგი* (იუვენტუსი), *კრისტიან ვიერი* (ატლეტიკო), *ჯანფრანკო ძოლა* (ჩელსი).

ლაშა გოდუაძე

## ქუჩუ და ნიკა დაგვიბრუნდნენ

საქართველოს ნაკრების შემადგენლობის ისეთივე ცივილიზებული ფორმით მოპოვება, როგორც იტალიისა, ბუნებრივია, ვერ შევძელით. ფედერაცია თავიდან უარზე იდგა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი „ტორპედოსთან" დღევანდელი მატჩის წინ ქობულეთში წასულიყო, ერთ-ერთმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კი გვითხრა, შემადგენლობა საერთოდ არ ვიციო. საბოლოოდ ისევ ფედერაცია შეელია იმ ფეხბურთელთა სიას, რომელთა კლუბებში გამოძახების შეტყობინებანი დაიგზავნა, ასეთი კი ჩვენს ჩემპიონატში მონაწილეებთან ერთად სულ 20 შეგროვდა, არადა ნაკრებში, ჩვენი ცნობით, 22 ფეხბურთელია. დარჩენილ ორში, ვფიქრობთ, ზოიძე და ჯამარაული იგულისხმებიან.

მეკარეები — *ნიკა ჩხაიძე* (ჰომბურგი, გერმანია), *ნიკა ტოგონიძე* (ბათუმი); მცველები — *კახა ცხადაძე*, *მურთაზ შელია* (ალანია, რუსეთი), *გელა შეყილაძე* (ბათუმი), *გიორგი ჩიხრაძე* (უკლუბოდ), *კახა კალაძე*, *ვალტერ გუჩუა* (დინამო); ნახევარმცველები — *ლევან კობიაშვილი*, *გიორგი გახოკიძე* (ალანია, რუსეთი), *კახა გოგიჩაიშვილი* (დინამო), *გიორგი დარასელია* (ჰაპოელი, თელ ავივი), *გიორგი ანჩაბაძე* (ჰაპოელი, აშკელონი), *გიორგი ქინქლაძე* (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), *თემურ ქეცბაია* (ნიუკასლი, ინგლისი); თავდამსხმელები — *შოთა არველაძე* (აიაქსი, ჰოლანდია), *არჩილ არველაძე* (ბრედა, ჰოლანდია), *მიხეილ ყაველაშვილი* (გრასჰოპერი, შვეიცარია), *ალექსანდრე იაშვილი* (დინამო)





გუშინ მცხეთაში: თსუ — „ლოკომოტივი"

კობა ჟორჟიკაშვილმა (№8) მწვრთნელობას თავი ანება და მინდორს დაუბრუნდა

## 5 ტური

თსუ 2:1 ლოკომოტივი

დღეს

| | | |
|---|---|---|
| მარგვეთი | - | მეტალურგი |
| მერანი | - | დილა |
| ოდიში | - | სამგურალი |
| ბათუმი | - | მერცხალი |
| ტორპედო | - | დინამო |
| კოლხეთი | - | გურია |
| სიონი | - | მაღაროელი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 5 | 5 | 0 | 0 | 12:5 | 15 |
| ოდიში | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| დილა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:5 | 9 |
| ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| მერცხალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| მაღაროელი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:13 | 3 |
| გურია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| მარგვეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:12 | 1 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |
| სიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -4 |

მცხეთა
„არმაზი"
3 სექტემბერი

**თსუ 2:1 ლოკომოტივი**

**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, კანკავა, შალამბერიძე (როსტიაშვილი 87), შ. ჩომახიძე, ბახტაძე, რუსია (კობესაშვილი 59), მელქაძე, ქორიძე

**ლოკომოტივი:** მეტივიშვილი, ახალაძე, ცოტაძე, ბარნოვი, ბაქრაძე, ქიტაძე, გ. კვეტენაძე (გ. გვაზავა 71), ჟორჟიკაშვილი, გამცემლიძე, ენუქიძე (მიზანდარი 71), დაუშვილი

1:0 შალამბერიძე (12); 2:0 მელქაძე (14), 2:1 ენუქიძე (60)

**გაფრთხილება:** ბარნოვი, ქორიძე, ენუქიძე, დაუშვილი

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

## წინ კიდევ ერთი ნაბიჯით

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

ლიდერი და აუტსაიდერი, მდიდარი და არცთუ დალხენილი, უზრუნველი და დარდიანი — გუშინ მცხეთაში სწორედ ასეთი გუნდები შეიყარნენ და რა გასაკვირია, ყველა მასპინძლების იოლ გამარჯვებას რომ ელოდა, მაგრამ სახეშეცვლილმა „ლოკომოტივმა" თსუ-ს არაერთი თავსატეხი გაუჩინა. გუშინ მინდორზე ის „ლოკომოტივი" არ იყო, რომელმაც პირველ ტურებში თავი ვერაფრით გამოიჩინა. უწინდელი მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი ისევ მინდორს დაბრუნებია, ნახევარდაცვაში გამოჯანმრთელებული გამცემლიძე დაუმატებიათ, თანაც გუნდი თავიანთი ფარმ-კლუბის ახალგაზრდებით გაუძლიერებიათ. ცხადია, ახალი მწვრთნელის, სერგო კოტრიკატის ხელით დაეტყოთ. ამან ნაყოფი გამოიღო და სტუმართა პროგრესიც ნათლად ჩანდა.

მატჩის დასაწყისში „ლოკომოტივს" სამჯერ შეეძლო დაწინაურება. დაუშვილი მცველებს დაუძვრა, მაგრამ დოლიძეს ვერაფერი დააკლო. წუთის მერე კვეტენაძემ გაისროლა, მაგრამ მეკარემ ისევ ივაჟკაცა და ბურთი მოიგერია. ბოლოს გამცემლიძემ აარიდა ხელსაყრელი მდგომარეობიდან. მასპინძლები გაბელიას შეძახილმა და დატუქსვამ გამოაფხიზლა. ბიჭები ამუშავდნენ და სამ წუთში სტუმრებს 2:0 უსახსოვრეს. ჩომახიძის ჩამოწოდებულ კუთხურს შალამბერიძე გამოეპასუხა და თავით მარცხენა მაღალ კუთხეში გაუტანა „ლოკომოტივის" დებიუტანტ მეკარეს. მასპინძლებმა მეკარეს გონზე მოსვლა არ აცალეს და მელქაძემ შორეული დარტყმით თავისიანები კვლავ ახეირა — ბურთი მცველს მოხვდა, სახტად დარჩენილ მეკარეს კი მარცხნივ ჩაუქროლა. ორბურთიანმა უპირატესობამ ისედაც დამშვიდებული მასპინძლები მთლად დააწყნარა, „ლოკომოტივს" კი, აბა, დასაკარგი რა ჰქონდა. სტუმრებმა დიდი ძალებით შეუტიეს და იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს, რამდენისთვისაც ოსტატობა და გამძლეობა ეყოთ. პირველ ნახევარში დოლიძემ გამცემლიძის კიდევ ერთი სახიფათოდ დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმში ცოტა უხეშობასაც ჰქონდა ადგილი. დაცვიდან თავდასხმაში დაწინაურებული დაუშვილი მასპინძელთათვის ძნელად დასაჭერი შეიქნა. სწორედ მისი დაწყებული გააგრძელა მარჯვენიდან ქიტაძემ და კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ბადეში ადგილი ენუქიძემ მიუჩინა. დარჩენილ დროში ორივე გუნდმა მოინდომა. მასპინძლებმა სამიოდეჯერ მწვავედ კი შეუტიეს, მაგრამ ორჯერ ქორიძე მეკარემ არ ახარა, ერთხელ დარტყმა გამოდგა არაზუსტი. სტუმრებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ ნაღდი საგოლე მომენტი ერთხელაც ვერ შექმნეს. თსუ-მ კვლავ მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

1997-98 წლების საფეხბურთო სეზონის აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ, განაცხადი წარადგინოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში 4-5 სექტემბერს 11-დან 16 საათამდე.

## ქრთამი სოკ-საც ანათებს

ხვალ მილიონობით ადამიანის მზერა შვეიცარიის ქალაქ ლოზანის შემოდგომაშეპარულ ამინდს ზაფხულის პაპანაქებად აქცევს. იქ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (IOC), ამ ორგანიზაციის კონგრესი 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ხუთი მსურველისგან ერთს აარჩევს. ამთავითვე ცნობილია, რომ რჩეული ქალაქი მილიარდი დოლარით გაიმდიდრებს ხაზინას. ადრე ასეთი რამ არ მომხდარა. კანდიდატებს წინასწარ არასდროს სცოდნიათ, რა თანხა შეუვიდოდათ გამარჯვების შემთხვევაში. ახლა იციან, რომ სატელევიზიო და სარეკლამო ბიზნესი მათ უეჭველ მილიარდ დოლარს უმზადებს.

მილიარდი დოლარი დიდძალი თანხაა. მის ხელში ჩასაგდებად ბევრი მავანთა მოქრთამვასაც არ მოერიდება. ვინმესთვის რაიმეს დაბრალებაც ცოდვაა, მაგრამ რომს, ათენს, სტოკჰოლმს, ბუენოს აირესსა და კეიპტაუნისგან ორს, სტოკჰოლმსა და კეიპტაუნს IOC-ის დელეგატთა მოქრთამვის სურვილი ბრალდებათ. კერძოდ, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ხმა გაუგდეს, რომ იგი თანაკონტინენტელ დელეგატებს სახვალიოდ ლოზანაში გადასაფრენი ბილეთების ფულს სთავაზობდა, სტოკჰოლმელებზე კი თქვეს, რომ მათ სხვათათვის ავეჯის ყიდვა სურდათ.

ბუნებრივია, ბოლო დღეებში ყველაფერი და მითუმეტეს თითოეული ხმა ორმაგად მნიშვნელოვანი გახდა. აქედან გამომდინარე, არც ისაა გამორიცხული, რომ ვიღაცამ ვიღაცის ხმა იყიდოს. ბუნებრივია ისიც, რომ როგორც შვედები, ისე სამხრეთ აფრიკელები ბრალდებას უარყოფენ. კეიპტაუნში საგანგებო პრეს-კონფერენცია გამართეს, რომელზეც იქაური ოლიმპიური კომიტეტის ხაზინადარმა კურტ ჰიპერმა განაცხადა, დელეგატებისთვის ბილეთების ყიდვა სიცრუეა, ხოლო რაც შეეხება მათ მეუღლებს, ლოზანის დიდ ლონისძიებას რომ არ გამოკლებოდნენ, ოც მათგანს მართლაც შევთავაზეთ შვეიცარიაში გადაფრენა, ოღონდ ამ ოციდან თანხმობა მხოლოდ სამმა მოგვცაო. ჰიპერის თქმით, დელეგატთა ცოლებისთვის ბილეთების შეთავაზება მათ საიდუმლოდ არასდროს გაუხდიათ.

ახლა, შვედებმა როგორ ახსნეს თავიანთი ინციდენტი: თურმე, IOC-ის თათბირზე სტოკჰოლმში მყოფ დელეგატებს შვედეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ავეჯის ქარხნის დათვალიერება და მისი პროდუქციის ყიდვა ურჩია. დელეგატებს მართლაც შეუძენიათ ავეჯი და მასპინძელთათვის მის შინ გადაგზავნაში დახმარება უთხოვიათ. ამ თხოვნის ამბავი მათ IOC-ის გენერალური დირექტორისთვის, ფრანსუა კარარსთვის უცნობებიათ, რომელსაც შესაძლო გაუგებრობისთვის თავის არიდება ურჩევია. შვედები ასეც მოქცეულან. გარდა ამ განმარტებისა, სტოკჰოლმელებმა დიდი აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მათ, პატიოსანი ერის შვილებს, ქრთამის მიცემაში დასდეს ბრალი.

კეიპტაუნმაც და სტოკჰოლმმაც განაცხადეს, რომ IOC-ისგან რაიმე გამკიცხავი წერილი არ მიუღიათ, საიდანაც დაასკვნეს, რომ მომხდარი ამბები მათ კანდიდატურებზე უარყოფითად არ მოქმედებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რამდენიმე უგავლენიანესმა წარმომადგენელმა ვინაობის გაუმხელად განუცხადა სააგენტო „როიტერს", რომ ხუთ კანდიდატურას შორის გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი რომს და ათენს აქვთ, ბუენოს აირესსა და კეიპტაუნს კი ყველაზე ნაკლები. რომაელთა მთავარი კოზირი მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, დოქტორი პრიმო ნებიოლო და მისი გავლენა გახლავთ, ათენელებისა კი თითოეული ხმისთვის ბრძოლის ბოლოყამს გამომჟღავნებული საგანგებო ნიჭი.

გაარკვევს თუ არა 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლის ვინაობას, IOC „ტურ დე ფრანსზე" მომხდარი ინციდენტის გამოკვლევას შეუდგება. თურმე ერთ-ერთ ველომრბოლს შეჯიბრების წინ ორგანიზმში ოთხჯერ აღმოუჩინეს დოპინგი, მაგრამ სპორტსმენმა შეჯიბრებაში მაინც მიიღო მონაწილეობა. IOC-ის უკმაყოფილოა, რომ მისმა პარიზულმა ლაბორატორიამ დოპინგის თაობაზე არაფერი შეატყობინა. ველომრბოლის ვინაობა არ დაუსახელებიათ, მაგრამ თქვეს, რომ „ტურზე" ერთადერთი დოპინგ-შემთხვევა გამოყღავნდა, ასეთად კი უზბეკი აბდუჯაპაროვის საქმე ცნობილი.

პაპუნა ქედია

# ლევან ბერიშვილი: მიხარია, „დინამოს“ რომ ვხვდებით

**ბელარუსის ჩემპიონ მპკც-ს ფორვარდს ლევან ბერიშვილს იქაურმა ჟურნალისტებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრამდე ჰკითხეს, მეტოქედ ვის ისურვებდიო. ქართველმა უმალ თბილისის „დინამო“ დაასახელა.**



— დიახ, ჩემი სურვილი სწორედ „დინამოსთან“ თამაში იყო — ჩვენც იგივე გაგვიმეორა ახალგაზრდა თავდამსხმელმა — მართალია, ორივე გამოვვარდით ჩემპიონთა ტურნირიდან, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის. ახლა მშვენიერი შანსი მომეცა, ქართველ გულშემატკივრებსა და ნაკრების მწვრთნელებს დავუმტკიცო, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ. ვიცი, ეს ბევრს არ სჯერა, ამიტომაც გამიხარდა „დინამოს“ მეტოქეობა.

**— ეს მეტად ძნელი არ იქნება? ბოლოს და ბოლოს ქართველი ხარ და თვისტომთა წინააღმდეგ მთელი ძალით თამაშის უფლება იქნებ გულმა არც მოგცეს?**

— რა თქმა უნდა, ამაზე ვიფიქრე. უფრო სწორედ, რაც კენჭისყრამ „დინამოს“ დაგვაწყვილა, ეს ფიქრი თავიდან არ მშორდება. საქართველო ჩემსავით ბევრს არ უყვარს, მაგრამ რა ვქნა, ვუღალატო გუნდს, რომელმაც თავის გამოვლენისა და უცხოეთის ძლიერ კლუბში გადასვლის შანსი მომცა? ჩემი ვალია, ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან ვითამაშო მთელი მონდომებით. პროფესიონალს თავისი გუნდის ინტერესის დაცვა მოეთხოვება და მეც სხვაგვარად ვერ მოვიქცევი.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოგების იმედი თუ გაქვს?**

— მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივარ, თუნდაც სუპერგუნდს ვეთამაშებოდეთ. შიშით არავისი მეშინია. თანაც, ცუდად არ გამიგოთ და ძალიან დიდი შანსი იყო, „დინამოზე“ გაცილებით ძლიერი მეტოქე გვყოლოდა, ვთქვათ, „აიაქსი“, „ატლეტიკო“, „ინტერი“. დამეთანხმებით, მის ფონზე „დინამო“ სულაც არ არის საშიში, ისევე როგორც ჩვენ თბილისელებისთვის, მაგრამ შანსებს მაინც თანაბრად ვაფასებ.

**— ბუბნოვს „დინამოს“ მეტოქეობაზე როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— საკმაოდ მშვიდი. მართალია, ტექნიკურები არიან და მაგათთან თამაში ძნელია, მაგრამ ვიცი, როგორ უნდა მოვუგოთო. ისე, კენჭისყრის შედეგი დილის ვარჯიშის შემდეგ შევიტყვეთ. ბუბნოვი სიცილით მეკითხება — რაო, ლევან, გაგიხარდა, შენიანები რომ შეგვხვდნენ? გამიხარდა-მეთქი, ვუთხარი. რატომ, თბილისში რომ მივდივართო? თუ რატომ, უკვე გითხარით. სხვათა შორის, თანაგუნდელებიც მეკითხებოდნენ, ქართველების წინააღმდეგ მთელი ძალით ითამაშებო.

**— ორიოდე სიტყვა გუნდზეც ვთქვათ. შარშანდელი ჩემპიონები წელს შედარებით სუსტად თამაშობთ, აქედან გამომდინარე, ბუბნოვის საქმე მთლად სახარბიელოდ არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ ბოლო თამაში მინსკის „ტორპედოსთან“ 0:5 წააგეთ...**

— ამას ლოგიკური ახსნა მოეძებნება. ბუბნოვის საფიქრალი ახლა „დინამოსთან“ შეხვედრაა და ძირითადის ხუთი მოთამაშე დაასვენა და წავაგეთ კიდეც. თუმცა, ბუბნოვს მართლაც წყალი აქვს შეყენებული. მან გუნდის გაახალგაზრდავება მოინდომა, გულშემატკივრები კი ლიდერობის დათმობას ვერ ეგუებიან. მათ და კლუბის თავკაცებს მარტო ხვალინდელი დღის იმედი არ აკმაყოფილებთ. მე ბუბნოვთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მისი თქმით, ჩემით „ოლიმპიაკოსის“ გარდა კიდევ რამდენიმე ბერძნული გუნდი დაინტერესდა და თავად ცდილობს, უფრო ძლიერ კლუბი მომიძებნოს. „ოლიმპიაკოსში“ გადასვლა ჩემი ძმის ბავშვობის მეგობრის ანდრო ნინიაძის პირით პირეოსელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა შემომთავაზა. მთავარმა მწვრთნელმა დუშან ბაევიჩმაც იგივე ბრძანა ერთ-ერთ ბელარუსულ გაზეთში. ახლა უკვე მათ ზარს ველოდები.

**— ესაიაშვილისა და ვოსკანოვის საქმეები როგორ არის?**

— ესაიაშვილს ბუბნოვი მეორე ტაიმში ათამაშებს, ვოსკანოვმა კი ბერძნებთან 15 წუთი ითამაშა, ნატკენი ფეხი კვლავ დაუშავდა და ახლაც ისვენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

### ბელარუსული კლუბები ევროთასებზე

| | |
|---|---|
| | **1993-94** |
| ჩთ | ვერდერი (გერმანია) — დინამო (მინსკი) 5:2, 1:1 |
| თთ | ლუგანო (შვეიცარია) — ნემანი (გროდნო) 5:0, 1:2 |
| | **1994-95** |
| თთ | ფანდოკი (ბობრუისკი) — ტირანა (ალბანეთი) 4:1, 0:3 |
| უთ | დინამო (მინსკი) — ჰიბერნიანსი (მალტა) 3:1, 3:4 დ.დ. |
| | დინამო (მინსკი) — ლაციო (იტალია) 0:0, 1:4 |
| | **1995-96** |
| თთ | დინამო 93 (მინსკი) — მოლდე (ნორვეგია) 1:1, 1:2 |
| უთ | უნივერსიტატეა (რუმინეთი) — დინამო (მინსკი) 0:0, 0:0 (პ 1:3) |
| | აუსტრია (ვენა, ავსტრია) — დინამო (მინსკი) 1:2, 0:1 |
| | ვერდერი (გერმანია) — დინამო (მინსკი) 5:0, 1:2 |
| | **1996-97** |
| თთ | მპკც (მოზირი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 2:2, 0:1 |
| უთ | ბოჰემიანსი (ირლანდია) — დინამო (მინსკი) 1:1, 0:0 |
| | დინამო (მინსკი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 2:1, 0:2 |
| | დინამო 93 (მინსკი) — ტილიგული (მოლდოვა) 3:1, 1:1 |
| | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — დინამო 93 (მინსკი) 1:1, 3:0 |
| | **1997-98** |
| ჩთ | კონსტრუქტორული (მოლდოვა) — მპკც (მოზირი) 1:1, 2:3 |
| | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მპკც (მოზირი) 5:0, 2:2 |
| თთ | სადამი (ესტონეთი) — ბელშინა (ბობრუისკი) 1:1, 1:4 |
| უთ | დინამო (მინსკი) — კოლხეთი 1913 (ფოთი) 1:0, 1:2 |
| | დინამო (მინსკი) — ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:2, 0:1 |

# მრისხანე და ეჭვიანი



ვარლამ კილასონია

რატომღაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მთავარი მწვრთნელის გვარი ისეთ ასოციაციას იწვევს, გეგონებათ, ვიღაც ტირანი, შეუბრალებელი ადამიანი იყოს. არადა, მას შემდეგ, რაც ძმები კილასონიები ნოდიას „ლოკომოტივიდან“ „დნეპრში“ გადავიდნენ, გროზნისთან არა ერთხელ გვისაუბრია. ყოველთვის ძმობას გვეფიცებოდა, ქართველები ძალიან მიყვარსო, ამბობდა, ძმების შესახებ კი ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ დასცდენია. პირიქით, კილასონიების თამაშით მეტად კმაყოფილი ვარ, ისინი მჭირდებიან და ძირითადშიც ვათამაშებო. ამას უკრაინის ჩემპიონატის დაწყებამდე გვეუბნებოდა. თანაც, ისეთნაირად საუბრობდა, უფლება არ გვქონდა, მის ნათქვამში ეჭვი შეგვეტანა. მაგრამ დაიწყო ახალი სეზონი და კილასონიების გვარს მხოლოდ შემცვლელთა შორის თუ ვკითხულობდით. მერე უეფას თასის მატჩებმაც მოატანა და „დნეპრი“ „ალანიას“ შეხვდა. ვიფიქრეთ, მოედანზე ერთბაშად შვიდი ქართველი ლეგიონერის ხილვას რა სჯობსო, მაგრამ არც ამაში გაგვიმართლა: გაზაევმა ცხადაძე და შელია მოისაკლისა, გროზნიმ — ვარლამ კილასონია. გია კი მხოლოდ მეორე ტაიმში ათამაშა, თუმცა, უმცროსმა ერთი ისეთი ჯარიმის დარტყმა მოასწრო, გაზაევს ციემა ოფლმა დაასხა — კრამარენკომ ივაჟკაცა. არც საპასუხო მატჩში დააყენა გროზნიმ ქართველები ძირითადში, ვარლამი კი საერთოდ არ ათამაშა და საკუთარ მოედანზე სამარცხვინოდაც წააგო. მატჩის შემდეგ გაგულისებული უფროსი ძმა, ვარლამი, სასწრაფოდ გაეცლია იქაურობას და რუსთავში ჩამოვიდა.

**— უკრაინაში გაგანია ჩემპიონატია, შენ კი რუსთავში ხარ.**

— „ალანიასთან“ თამაშის შემდეგ გროზნის არც დავმშვიდობებივარ, ისე წამოვედი. მერე გიასთვის უკითხავს, რატომ არ დამემშვიდობაო, მაგრამ...

**— დნეპროპეტროვსკში დაბრუნებას აღარ აპირებ? გროზნისთან შელაპარაკება ხომ არ მოგსვლია?**

— შელაპარაკებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ორი კვირის წინ საკმაოდ მწვავედ ვისაუბრეთ. კაბინეტში შევედი და ვუთხარი, რას ფიქრობ, რატომ არ მათამაშებ-მეთქი. მან კი, ხომ იცი, შენ და შენი ძმა როგორ მიყვარხართ, გუნდს ძალიან სჭირდებით, ცოტაც მოითმინე და გათამაშებო, მიპასუხა. „დნეპრის“ დატოვებაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, კატეგორიულად განმიცხადა, არსადაც არ გაგიშვებო. დღემდე ასეთ გაურკვევლობაში ვარ — არც მათამაშებს, არც მიშვებს. რა ვქნა, მე თვითონ არ ვიცი. ცოტას კიდევ მოვითმენ, შემდეგ კი, ალბათ, რაიმე შეიცვლება. არადა, სეზონის წინ რომ მცოდნოდა, სკამზე დავჯდებოდი, აუცილებლად დავტოვებდი „დნეპრს“. მქონდა კიდეც რეალური წინადადებები თურქეთიდან და ავსტრიიდან.

**— ახლა?**

— ჯერჯერობით ამათგანაც არაფერი ისმის. როგორც კი ნორმალურ გუნდში გადასვლის შანსი მომეცემა, გროზნის კატეგორიულად მოვთხოვ, ან მათამაშოს, ან არადა, ხელს ნუ შემიშლის.

**— არც გია უკეთეს დღეშია.**

— გიას ჩემპიონატში ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. ერთ-ერთი მატჩისას მსაჯს წაელაპარაკა, ფედერაციის მოხელეებმა კი ხელზე დაიხვიეს და ძალიან მკაცრად დასაჯეს. გროზნი ახლა ამბობს, გია უსამართლოდ დასაჯესო. ათი მატჩი ნამეტანი ბევრია, ვეცდები, სასჯელი ხუთ თამაშამდე შევამცირებინოო. ვნახოთ, რა გამოუვა. ისე კი, რომც შეამცირებინოს, მაინც 15-20 წუთს ათამაშებს. „ალანიასთანაც“ ასე გააკეთა და დასჯამდეც არ აყენებდა ძირითადში. ახლა ვითომ გული მოულბა. ეჭვობს, „ალანიასთან“ თამაში რამდენიმე ფეხბურთელმა გაყიდაო, ამიტომაც ცდილობს, როგორმე შეუმსუბუქოს გიას დისკვალიფიკაცია.

**— სიტყვამ მოიტანა და „ალანიასთან“ თამაშზეც ვთქვათ.**

— ვლადიკავკაზში ერთბურთიანი სხვაობის მერე იმედი გვქონდა, დნეპროპეტროვსკში გავიმარჯვებდით. დარწმუნებული არავინ იყო, მაგრამ საამისო შანსი ნამდვილად არსებობდა. საპასუხო შეხვედრისას ყველაფერი 10 წუთში გაირკვა. გახოკიძემ რომ მეორე წუთზე შეგვიგდო, ბიჭები ცოტა დაიბნენ, თამაშიც ვერ ააწყვეს, თუმცა, ერთ-ერთი შეტევისას მსაჯმა პენალტი დანიშნა ჩვენს სასარგებლოდ. ხაპომა ივაჟკაცა და „დნეპრიც“ საბოლოოდ გატყდა. მერე უკვე თამაშს აზრი დაეკარგა. „ალანიამ“ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. ალბათ, ეს შეხვედრა მათთვის საუკეთესო გახლდათ. განსაკუთრებით კობიაშვილი და გახოკიძე გამოირჩეოდნენ, მთელი დაცვა აიკლეს. მცველებმა ყველაფერი იღონეს, მაგრამ ქართველებს ვერაფერი მოუხერხეს. ამ ბიჭებს ძალიან მოუმატებიათ. იმ თამაშისას დავრწმუნდი, რუსული პრესა რასაც მაგათზე წერს, ნაღდი ყოფილა. თურმე გაზაევიც ემადლიერება გოგასა და ლევანს.

**— შენი საუბრიდან გამომდინარე, დნეპროპეტროვსკში კი დაბრუნდები, მაგრამ გროზნიმ თუ ისევ არ გათამაშა, რაღა აზრი აქვს იქ ჩასვლას?**

— რა ვიცი, იქნებ რამე შეიცვალოს. სულ მპირდება, გათამაშებ, გათამაშებო, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ არაფერს ამბობს. როგორც გითხარით, ცოტასაც შევხედავ და წამოვალ. მით უმეტეს, „დნეპრს“ კაპიკი ფული არა აქვს, ფეხბურთელებს ოთხი თვეა, არც ხელფასი აუღიათ, არც პრემიალურები. სათაო თანხაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ოთხი ფეხბურთელი დაიმატეს ახალი სეზონის დაწყებამდე და ჯერჯერობით არავისთვის არაფერი მიუციათ. ერთი ეგაა, „ალანიას“ გადაუხადეს გეცკოს ტრანსფერის რაღაც ნაწილი, ისიც გაზაევის მონდომების შედეგად...

ნამდვილად არ გვეგონა, უკრაინის ჩემპიონატშიც თუ მოიძებნებოდა ისეთი კლუბი, ხელფასების გადახდა რომ უჭირს. თურმე, გაჭირვებულნი მარტო ქართული გუნდები არ ყოფილან.

ეტყობა, დუხჭირმა ფინანსურმა მდგომარეობამ „დნეპრის“ თამაშზეც იქონია გავლენა და აქამდე მეორე ადგილზე მყოფებმა ბოლო ტურის მატჩი ტერნოპოლის „ნივასთან“ შინ 0:1 წააგეს.

**ძოწა ინასარიძე**

# დარასელია ისევ ნაკრებშია

## ოთხი წლის და ოთხი თვის შემდეგ

იყო დრო, გიორგი დარასელია საქართველოს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ. იყო დრო, როცა ნაკრების თავდამსხმელებს გოლები მისი პასებით გაჰქონდათ. იყო დრო, „ძუკუს“ თავადაც რომ გაჰქონდა. მაგრამ ეს იყო მოკლე ხანს, იმ ორი წლის მანძილზე, როცა ნაკრებმა სულ ხუთი შეხვედრა ჩაატარა. დარასელიამ ხუთივეში ითამაშა და ორში თითო გოლიც გაიტანა, მაგრამ ბოლო მატჩი ქართველთათვის უშედეგო და სამარცხვინო გამოდგა — 0:1 განჯაში აზერბაიჯანთან. ამის შემდეგ დარასელია აღარავის გახსენებია. არ გახსენებია იმათ, ვისაც უნდა გახსენებოდა. დასაწყისში იქნებ არც იმსახურებდა ნაკრების მწვრთნელთა დიდ ყურადღებას, რადგან „ტორპედოდან“ „კოლხეთში“ გადასულს პირველი სეზონი ჩაუვარდა, მაგრამ მერე? ბოლო ოთხ წელიწადში დარასელია ორჯერ ვერცხლის, ერთხელ ბრინჯაოს, ერთხელაც მეოთხე პრიზიორი გახდა და ამ ხანში 70-მდე გოლიც გაიტანა. ამ ოთხ წელიწადში დარასელია 26 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც იყო და ამას ყველაფერს ნახევარმცველი, გამთამაშებელი ახერხებდა. ფედერაციიდან კი ფაქსი არ ჩანდა და „ძუკუც“ მოთმინებით იცდიდა ზუსტად 4 წელი და კიდევ ოთხი თვე. ამ კვირაში კი დარასელიას ბედნიერი ორშაბათი გაუთენდა...

**— პირველ ორ ტურში გასვლაზე ორჯერ მოიგეთ, მესამე ტურში კი შინ ფრედ როგორ ითამაშეთ?**

— ბოლო ტურში იერუსალიმის „ჰაპოელს“ ვუმასპინძლეთ და პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. მეორე ტაიმის მე-7 წუთზე კაცი გაგვიგდეს და მწვრთნელის მითითებით დაცვიდან კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში. სახიფათო მომენტების შექმნა მაინც შევძელით, მაგრამ ვერ გაეიტანეთ. მეც მქონდა ერთი მომენტი, მაგრამ კურიოზი შემემთხვა: საკუთარი საჯარიმოდან წამოღებულ ბურთზე მოედნის ცენტრში მეტოქე ისე მეთამაშა ბუცი გამძრო. სვლა გავაგრძელე, მაგრამ შიშველი ფეხით შორიდან ვერ დავარტყი, საჯარიმოში კი წამაქციეს. თუმცა, აქ ისე მსაჯობენ, ჯარიმასაც კი ათასში ერთხელ იძლევიან.

**— 10 სექტემბერს საქართველოს ნაკრები იტალიის მასპინძლობს. ამბობდნენ, დარასელიას გამოძახებას აპირებენო...**

— დავიჯერო, არაფერი იცი?

— ??

— ორშაბათს საღამოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ჩემს კლუბში ფაქსი მოვიდა. სიხარულით ცას ვეწიე, „ჰაპოელში“ კი თავზარი დაეცათ.

**— რატომ?**

— 6-ში ხაიფის „მაკაბისთან“ მეტად პრინციპული მატჩი გვაქვს. ეს ტურის ცენტრალური მატჩია და ისრაელის ტელევიზიის მეორე არხით პირდაპირი ტრანსლაციაა დაგეგმილი. მაგრამ რად გინდა, 5-ში უკვე თბილისში უნდა ვიყო. არ უნდოდათ გამოშვება, მაგრამ ნაკრებში დამიძახეს და ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია.

**— შენი გუნდი, თელ ავივის „ჰაპოელი“ იერუსალიმის „ჰაპოელთან“ პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. 7 ქულა კი გაქვთ, მაგრამ მხოლოდ ორი გოლი გაიტანეთ, თანაც ორივე შენ. თავდამსხმელები არ გყავთ?**

— როგორ არა, მაგრამ ჯერ ვერ გააქვთ. ახლა ორი ფეხბურთელი კიდევ დავიმატეთ. ერთი ხორვატი ნახევარმცველია. ისინი სამშაბათს მეორე ლიგელ აშდოდის გუნდთან ამხანაგურ მატჩში გასინჯეს და დაიტოვეს. ეს მატჩი 3:2 მოვიგეთ.

**— დევაძის ამბავი დაწვრილებით გეცოდინება.**

— შემთხვევით გავიგე. თამაშიდან რომ დავბრუნდი, ტელევიზორში მიმოხილვას ვუყურებდი და... როცა მე დავრეკე დევა უკვე საავადმყოფოში იყო. იოლად გადარჩა, თუმცა შეჯახებისას კბილი ჩაემტვრა და ტვინის შერყევა მიიღო. 20 დღე წოლითი რეჟიმი უნდა დაიცვას. ასე რომ, ისრაელიდან უმისოდ მოვდივარ.

**ვახტანგ ბზიძაძე**



სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# საფრანგეთის გზაზე

## ინგლისი

### V ტურის მატჩი

**ბოლტონი 0:0 ევერტონი**

პირველი სამი შეხვედრა ბოლტონელებმა სტუმრად ითამაშეს. მეოთხეში უკვე თავად უნდა დახვედროდნენ სტუმარს ახალ, „რიბოკის“ სტადიონზე. მატჩის ჩატარებას ზარ-ზეიმით აპირებდნენ, თამაშამდელი და მისი შემდგომი განწყობა სადღესასწაულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაიანას უდროო სიკვდილმა ბოლტონელებს ყველაფერი ჩაუშხამა. თამაშს, რომელიც ახალი სტადიონის ისტორიაში უნდა შევიდეს, 15 ათასი კაცი დაესწრო, თუმცა, ჩვეული ინგლისური ხმაურიანი გულშემატკივრობის ნაცვლად, სტადიონზე შედარებით სიწყნარე იყო. თამაში წუთიერი დუმილით დაიწყო, მოთამაშეებს კი შავი სამკლაურები გაეკეთებინათ. აშკარა იყო, იმ მატჩში, რომლითაც ხალხს და ფეხბურთელებს უნდა ეხარათ, ფეხბურთელებს თამაშის სურვილიც კი დაეკარგათ. თქვა კიდეც მატჩის მერე „ევერტონის“ კაპიტანმა გარი სპიდმა, ბევრი გაგვკიცხავს თამაშის გამო, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და საქმე უნდა ვაკეთოთო. შეხვედრა მთლიანობაში მოსაწყენი გამოდგა, მაგრამ იყო მომენტი, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია: 53-ე წუთზე ტაგარტის თავური საუთჰოლმა ვერ დაიჭირა და ბურთიც კარში შევიდა, მაგრამ ტერი ფილანმა მოახერხა და უმალვე გამოიტანა. მსაჯმა ვერ შეამჩნია, გოლი რომ იყო და თამაში გააგრძელა, რამაც მასპინძელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მალე რობი ელიოტმა ფეხი ორ ადგილას მოიტეხა და საკაცით გაიყვანეს. მატჩის შემდეგ კი ისედაც მიჩუმებულ „რიბოკ სთედიუმზე“ სრულმა სიწყნარემ დაისადგურა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:0 | 13 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:5 | 9 |
| არსენალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 9 |
| ლესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ტოტენჰემი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ნიუკასლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კრ. პალასი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 6 |
| ბარნსლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| ლივერპული | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ბოლტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ქოვენთრი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლიდსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| შეფილდი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:13 | 4 |
| დერბი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ასტონ ვილა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| უიმბლდონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |

### პირველი დივიზიონი

**სამშაბათს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: ქრიუ — ბერი 1:2, ჰადერსფილდი — ბრედფორდი 1:2, იფსვიჩი — სვინდონი 2:1, პორტსმუთი — ნორვიჩი 1:1, რედინგი — ქუინზ პარკი 1:2, სტოკპორტი — მიდლსბრო 1:1, სანდერლენდი — ოქსფორდი 3:1, ტრანმერი — ბირმინგემი 0:3. სამი მატჩი წუხელ შედგა.**

## რუსეთი

26-ე ტური. ცსკა — კამაზი 1:0, ლოკომოტივი — ჟემჩუჟინა 4:1 (ჯანაშიამ პენტრიქი შეასრულა), ბალტიკა — ტორპედო 1:0, ნოვგოროდი — როტორი 1:2, კრილია სოვეტოვი — სპარტაკი 1:2 (სამარელთა გოლი მინაშვილმა შეაგდო), ზენიტი — ჩერნომორეცი 0:0, როსტსელმაში — შინიკი 1:2, ტიუმენი — დინამო 1:0, ფაკელი — ალანია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 26 | 16 | 5 | 5 | 47:24 | 53 |
| დინამო | 26 | 15 | 7 | 4 | 35:15 | 52 |
| სპარტაკი | 25 | 15 | 6 | 4 | 42:17 | 51 |
| ლოკომოტივი | 26 | 11 | 9 | 6 | 34:24 | 42 |
| ტორპედო | 26 | 12 | 4 | 10 | 40:30 | 40 |
| ალანია | 26 | 11 | 4 | 11 | 40:29 | 37 |
| ჩერნომორეცი | 25 | 9 | 10 | 6 | 27:21 | 37 |
| შინიკი | 26 | 9 | 10 | 7 | 26:27 | 37 |
| ბალტიკა | 26 | 8 | 12 | 6 | 27:24 | 36 |
| კრილია | 26 | 9 | 7 | 10 | 20:22 | 34 |
| როსტსელმაში | 26 | 7 | 12 | 7 | 26:24 | 33 |
| ზენიტი | 26 | 8 | 9 | 9 | 16:23 | 33 |
| ჟემჩუჟინა | 26 | 9 | 5 | 12 | 25:34 | 32 |
| ცსკა | 26 | 8 | 7 | 11 | 20:32 | 31 |
| ტიუმენი | 26 | 8 | 5 | 13 | 21:33 | 29 |
| კამაზი | 26 | 7 | 2 | 17 | 29:55 | 23 |
| ფაკელი | 26 | 6 | 3 | 17 | 17:33 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 26 | 5 | 3 | 18 | 18:43 | 18 |

FRANCE 98

### შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

### ინგლისი

ზუსტად იმ დღეს, როცა თბილისში იტალია ითამაშებს, ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი ლონდონში გაიმართება. ინგლისელებმა პრინცესა დაიანას დაღუპვის გამო ბევრი იმსჯელეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ „უემბლიზე“ მოლდოვას ოთხშაბათს უმასპინძლებენ. გლენ ჰოდლმა ნაკრების შემადგენლობა აგვისტოს ბოლო დღეებში დაასახელა, მაგრამ გუშინწინ ერთი კაცი მოისაკლისა — 18 წლის რიო ფერდინანდი, რომელიც, თუ ითამაშებდა, 1953 წლის შემდეგ ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მას ასეთი მიღწევის შანსი მოუსპო. მიზეზი — თბილისში მეორე გოლის გამტან ლეს ბიძაშვილს, ყმაწვილკაც რიოს ნაკრებში გამოძახება ერთობ გახარებია და მეგობრებთან ერთად კარგა მაგრად გამომთვრალა, მერე საჭესაც მისჯდომია, ბოლოს კი პოლიციას ჩავარდნია ხელში. ეს უმალვე შეატყობინეს ფეხბურთის ასოციაციას და მანაც განაჩენი გამოიტანა. ასოციაციის წარმომადგენელმა სტივ დაბლინმა საჯაროდ განაცხადა, რიო ნაკრებში ვარჯიშს კი გააგრძელებს, მაგრამ მოლდოველებთან ვერ ითამაშებსო. არადა, რიო ფერდინანდს ტრავმირებული ტონი ადამსის ნაცვლად უნდა ეთამაშა. თავის მხრივ, პოლიციას ადამსიც რამდენჯერმე ჰყავს დაკავებული მანქანის ნასვამ მდგომარეობაში ტარებისთვის. „ვესტ ჰემის“ მცველის დისკვალიფიკაცია რიოს დედამ ძლიერ განიცადა და მისი დაცვა სცადა — ბავშვმა ორიოდ ბოთლი გადაჰკრა, მერე რა მოხდაო. იქვე ისიც დასძინა, ჩემი შვილი ლოთი არაა, ვარჯიშებზე თავს იკლავს, უბრალოდ, ჯერ პატარაა და გამოუცდელიაო.

### შოტლანდია

აქ მოვლენები ისე სწრაფად იცვლებოდა, სხვა არაფერი დაგვრჩენია, ყველაფერი მიმდევრობით გამცნოთ. სამშაბათს დადგინდა, რომ უელსის პრინცესა დაიანას დაკრძალვის მიუხედავად, შოტლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ბელარუსს შაბათს უმასპინძლებდნენ. სქოთთა ფეხბურთის ასოციაცია ვითომ ცდილობდა მატჩის გადადებას, მაგრამ მათ მეტოქეს ორიოდ დღეში ავსტრიელებთან ჰქონდა მეორე შეხვედრა და ამიტომაც ყველაფერი ამათ დაბრალდა. როგორც კი გამოცხადდა, რომ მატჩი შაბათს გაიმართებოდა, შოტლანდიის პოლიტიკური მდივანი დონალდ დიუარი აღშფოთებული დაუკავშირდა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას და მიზეზების ახსნა მოითხოვა, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტ ჯიმ ფერისგან კი პასუხად მიიღო, რომ ეს ბუკინგემის სასახლესთან, ქვეყნის მთავრობასთან და მეტოქის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ გადაწყდა. ჯიმ ფერის თქმით, აბერდინში მათი ფეხბურთელები მწუხარების ნიშნად შავი სამკლაურებით ითამაშებდნენ და მატჩის დაწყებამდე პრინცესას წუთიერი დუმილით მიაგებდნენ პატივს.

მალე შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმაც გააკრიტიკა და ამ გადაწყვეტილების გამო საჯაროდ გაკიცხა ასოციაციის თავკაცობა.

მერე კი მთავარიც დაიწყო: ცნობილმა ბომბარდირმა ალი მაკკოისტმა, რომელიც შეკრებაზე იყო გამოძახებული, კრეიგ ბრაუნს განთავისუფლება სთხოვა, რაც მიიღო კიდეც. ალის მხარი აუბეს გორდონ დიურიმ და მეკარე ენდი გორამმა და შაბათს თამაშზე უარი განაცხადეს, „ბლექბერნის“ ტრავმირებულმა მცველმა კოლინ ჰენდრიმ კი თქვა, ამ დღეს თამაში სამეფო ოჯახის უპატივცემულობააო. ახალგაზრდა შოტლანდიელებს ძველებმაც აუბეს მხარი — 1964 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა დენის ლოუმ დაიანას დაკრძალვის დღეს თამაშს მთელი ერის სირცხვილი უწოდა.

საქმეში ხალხიც ჩაერია — გულშემატკივრები მატჩის ბოიკოტით იმუქრებოდნენ.

რაღა ჩარა იყო. წუხელ შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ თამაშის პარასკევ საღამოს გამართვაზე ჩამოაგდო სიტყვა — ეს, ალბათ, ბელარუსებსაც მოაწყობთო. და მაშინ, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა თავის ბელარუს კოლეგას დაურეკა და თამაშის კვირას გამართვა შესთავაზა (თურმე პირველად ამ სამ დღეში!), რაზეც თანხმობა მიიღო. მაშ ასე, აბერდინის მატჩი კვირას, ადგილობრივი დროით 14 საათზე გაიმართება.

### ავსტრია

სანამ შოტლანდიაში ფეხბურთელები ნებით მიდიან ნაკრებიდან, ავსტრიელებს მოთამაშეები ტრავმების გამო აკლდებათ. ავსტრიელთა მორიგი ვარჯიშისას, გუშინ რომ გაიმართა, ნახევარმცველი დიტმარ კუჰბაუერი ანტონ პფეფერს დაეჯახა და კისერი დაიზიანა. ექიმებმა მოგვიანებით დაასკვნეს, რომ იგი დაახლოებით. რვა კვირა ვერ ითამაშებს და ცხადია, 10 სექტემბერს ბელარუსებთან მატჩის გამოტოვებაც მოუწევს.

### გერმანია

გერმანელთა ბანაკში კი საბოლოოდ დადგინდა, რომ ანდრეას მიოლერი შაბათს პორტუგალიელებთან ვერ ითამაშებს. მანაც, სამშაბათს 30 წლისა რომ გახდა, ვარჯიშზე მიიღო მარჯვენა მხრის ტრავმა. ნაკრების ექიმისა და ბერტი ფოგტსის ერთობლივი სჯა-ბაასის შემდეგ ენდის დორტმუნდში სამკურნალოდ გაშვება გადაწყდა.

### ბელგია

შაბათამდე ორი დღეა დარჩენილი, ბელგიელებმა კი გასულ უიქენდზე გამოძახებული ნაკრები ლამისაა მთლიანად შეცვალონ. ეტყობა, ისინი ისეთი ენთუზიაზმით ემზადებიან ჰოლანდიელებთან სათამაშოდ, რომ ვარჯიშებზე ერთმანეთს და თავს არ ინდობენ და ტრავმებსაც ერთიმეორის მიყოლებით იღებენ. მეზობლებთან თამაშისთვის ნაკრებს გამოაკლდა აჩიკო არველაძის თანაგუნდელი ბარტ დე რუვერი. იგი სამშაბათს უხეიროდ დაეცა, თეძო დაიზიანა, ჟურნალისტებს კი განუცხადა, ძლიერი ტკივილები მაქვს, ჰოლანდიელებთან თამაში ხომ გამორიცხულია, ვერც კი გეტყვით, კიდევ როდის ვითამაშებო. ნაკრების მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა განაცხადა, მცველი რუდი სმიდტსიც ვერ ითამაშებს, ორმხრივ ვარჯიშზე იდაყვი ძლიერ დაიზიანაო. ისიც დასძინა, ლოკონდა მპენზაზეც ვშიშობ, შესაძლოა, „ენდჰოვენის“ ჟილ დე ბილდეთი შევცვალოო. თითქოს ამდენი ტრავმირებული არ აკლდათ და გუშინ, მორიგ ვარჯიშზე, „ნიუკასლის“ ფილიპ ალბერსაც და „ლიერსის“ ერიკ ვან მეიერსაც მიუღიათ ტრავმები, თუმცა ლიკენსმა ხალხი დაამშვიდა — ნუ გეშინიათ, ამათ ისეთი არაფერი სჭირთო.

### დანია

სანამ ბრიტანელები დაიანას გლოვობენ, დანიელები მეტად სერიოზულად ემზადებიან ხორვატების წინააღმდეგ შეხვედრისთვის. 10 სექტემბერს სკანდინაველები ხორვატებს მასპინძლობენ. ნაკრებს დაუბრუნდა წითელამორჩენილი ბრიან ლაუდრუპი, რომელმაც ბოსნიასთან 0:3 წაგებული მატჩი გამოტოვა.

მეკარეები — პიტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი), მოგენს კროგი (ბრონდბიუ); მცველები — იან ჰაინცე (ლევერკუზენი), სიორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე), იაკობ ლაურსენი (დერბი ქაუნთი), მიხაელ შონბერგი (კაიზერსლაუტერნი), ოლე ტობიასენი (აიაქსი); ნახევარმცველები — პერ ფრანდსენი (ბოლტონი), ალან ნილსენი (ტოტენჰემი), თომას ჰელვეგი (უდინეზე), ოლე ბიური (ბრონდბიუ), იონ დალ ტომასონი (ნიუკასლი), მორტენ ვეგჰორსტი (სელტიკი); თავდამსხმელები — მიქაელ ლაუდრუპი (აიაქსი), ბრიან ლაუდრუპი (რეინჯერსი), მიკლოშ მოლნარი (სევილია), პეტერ მიოლერი (ეინდჰოვენი).

### რუსეთი

10 სექტემბერს ბულგარელებთან გადამწყვეტი მატჩისთვის რუსებმა იხმეს:

მეკარეები — სერგეი ოვჩინნიკოვი (ბენფიკა), ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი); მცველები — იური ნიკიფოროვი (ხიხონი), იგორ ჩუგაინოვი (ლოკომოტივი), იური კოვტუნი (დინამო), ახრიკ ცვეიბა (ალანია), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო), დმიტრი პოპოვი (კომპოსტელა), დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი); ნახევარმცველები — ანდრეი კანჩელსკისი (ფიორენტინა), სერგეი გრიშინი (დინამო), ოლეგ ვერეტენნიკოვი (როტორი), იგორ იანოვსკი (ალანია), ალექსეი კასალაპოვი (ხიხონი), ვლადისლავ რადიმოვი (სარაგოსა), დმიტრი ალენიჩევი, ანდრეი ტიხონოვი (სპარტაკი), დმიტრი ხოხლოვი (ტორპედო-ლუჟნიკი); თავდამსხმელები — იგორ კოლივანოვი (ბოლონია), იგორ სიმუტენკოვი (რეჯანა), დმიტრი ჩერიშევი (ხიხონი).

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის „ბარსელონას“ ერთბაშად ორი მოთამაშე გამოაკლდა. ბრაზილიელი ჯოვანი, კლუბის ექიმის ხოსე ბორელის განცხადებით, პირველ ტურში მიღებული ტრავმის გამო მინიმუმ ათი დღე ვერ ივარგებს, მიხაელ რაიციგერს კი ფეხის კუნთი აქვს დაჭიმული და ხუთიოდე დღე გაცდება.

**ისრაელის ჩემპიონატის მესამე ტურის ბოლო შეხვედრაში ბერ შევას „ჰაპოელმა“ შინ 1:1 ითამაშა ფეთახ თიქვას „მაკაბისთან“.**

სენეგალის ჩემპიონობა მოიპოვა „დუნეშმა“, რომელმაც კვირას „ნდიამბუსთან“ 1:1 ითამაშა. გაისად „დუნეში“ აფრიკის ჩემპიონთა თასზე იბრძოლებს. მეორე ადგილზე „დუნეშის“ ძარად დედაქალაქელი, დაკარის „ჟანა დარკი“ გავიდა.

**გერმანელმა მათიას ზამერმა, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი რომაა, ოთხთვიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. 29 წლის ზამერმა ტრავმა ბუნდესლიგის პირველ ტურში, ბერლინის „ჰერტასთან“ თამაშისას მიიღო.**

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა, რომ პრინცესა დაიანას სახელის უკვდავსაყოფ საქველმოქმედო მატჩის მოწყობას აპირებს. მისი მთლიანი შემოსავალი ბოსნიაში ომისგან დაზარალებულ ოჯახებს გადაეცემა, ვინაიდან პრინცესა ბევრს მოგზაურობდა ბალკანეთში და თავად ეხმარებოდა ამ ხალხს. წამოწყებას მხარი გლენ ჰოდლმაც დაუჭირა.

**ინგლისის ჩემპიონატის მეოთხე ტურში მიღებული ტრავმის გამო „ბლექბერნის“ მეკარე ჯონ ფილანი დაახლოებით წელიწადი ვერ ითამაშებს. „შეფილ უენსდეისთან“ 7:2 მოგებულ შეხვედრაში ფილანს მეტოქე უეინ კოლინზი დაეტაკა და, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ლავიწი გადაუტეხა, ხოლო ბეჭი ძალიან დაუზიანა.**

ჰოლანდიის ჩემპიონატის მესამე ტურის ბოლო შეხვედრა სამშაბათს გაიმართა. „ვოლენდამმა“ შინ 1:1 ითამაშა არნემის „ვიტესთან“. გოლი მასპინძელთაგან მონელაარმა შეაგდო 61-ზე, სტუმართაგან კი მახლასმა 24-ზე.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მეოთხე ტური: ლაჟნე — სპარტა 0:3, ბანიკი — ბობი 3:3, პეტრა — კაუჩუკი 1:1, ვიქტორია (ჟ) — ტეპლიცე 0:0, ჩესკე ბუდეოვიცე — სიგმა 0:0, სლოვანი — იაბლონეცი 3:1, სლავია — ჰრადეც კრალოვე 7:1, დუკლა — ვიქტორია (პ) 2:0. ოთხი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ქულათა მაქსიმუმით პრაღის „სპარტა“ ლიდერობს. მეორეა მისი თანამოქალაქე „სლავია“ 10 ქულით.**

ინგლისის „ბოლტონის“ მცველი რობი ელიოტი დაახლოებით ორი თვით გამოაკლდა გუნდს. ბოლო ტურში „ევერტონთან“ თამაშისას იგი ტონი ტომასს დაეტაკა და მარჯვენა ფეხი ორ ადგილას გადაიტეხა, რის გამოც სტადიონიდან პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს.

**გერმანელმა შტეფან ეფენბერგმა, მიუხედავად მწვრთნელთან კონფლიქტისა, განაცხადა, კლუბში კონტრაქტის ბოლომდე ვრჩებიო. შტეფანს მომატებული წონის გამო არ ათამაშებდა ჰანს ბონგარტცი, მანაც წასვლა დააპირა, მაგრამ ცოლთან გასაუბრების შემდეგ აზრი შეიცვალა.**

გერმანელ უვე როსლერს „ევერტონმა“, კარგა ხანია, თვალი დაადგა. ლივერპულელები ფორვარდის გადაბირებას ერთხელ უკვე უშედეგოდ ეცადნენ, ახლა კი „მანჩესტერ სიტის“ მეორედ შეეხმიანნენ, უვე დაგვითმეთო. „სიტიმ“ მის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა მოითხოვა, თუმცა მანჩესტერელთა სუსტმა სტარტმა „ევერტონი“ ფასზე დააფიქრა. ამასობაში, თავად „სიტი“ იტალიელი... სტუდენტის ფიქვას აპირებს. ეს კაცი მანჩესტერელებს მსოფლიო უნივერსიადაზე „აღმოუჩენიათ“.

**ესპანეთის „[illegible]“ მომავალ აპრილში [illegible] ბილბაოს „სან მამესის“ სტადიონზე კლუბის [illegible] აპირებს, რის გამოც ცნობილ ტენორ ლუჩანო პავაროტის შეეხმიანენ და დაითანხმეს, რომ იგი რამდენიმე იტალიურ სიმღერას, მათ შორის „სოლე მიოს“ შეასრულებს.**

ფრანგ კრისტიან კარემბეუს „სამპდორიამ“ თამაშის უფლება მისცა. შარშან ექს-ნანტელმა იტალიელებს არ შეატყობინა, რომ „რეალში“ გადასვლას ჩარხავდა, რის გამოც „სამპდორიას“ „ბარსელონასთან“ გარიგება მის თაობაზე ჩიხში მოექცა. მაშინ კლუბმა ფეხბურთელის დასჯა გადაწყვიტა და კარემბეუს არც ყიდიდა და არც ათამაშებდა. ფეხბურთელი მიხვდა თავის შეცდომას, პატიება ითხოვა და შეწყალება მიიღო.

**ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლო მატჩი, რომელიც ორშაბათს გაიმართა ვალიადოლიდში, სტუმრის, სევილიის „ბეტისის“ 3:1 გამარჯვებით დასრულდა. მასპინძელთაგან გოლი ხუან კარლოსმა გაიტანა 32-ე წუთზე, სტუმართაგან კი ვიდაკოვიჩმა 85-ზე, ალექსისმა 87-ეზე პენალტით და ნაჯტიმ 89-ზე.**

სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელი ვილფრედ მაგეი „ბუშ ბუქს ამატადან“ გერმანულ როსტოკის „ჰანზაში“ გადავიდა. ზიმბაბვეში დაბადებულმა და აღზრდილმა 28 წლის მაგეიმ, რომელიც შარშან 22 გოლით სამხრეთ აფრიკის საუკეთესო ბომბარდირი იყო, განაცხადა, გარიგებით დიდად კმაყოფილი ვარო.

**ეგვიპტის დედაქალაქში ფიფას მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა საკითხი განიხილეს. ფიფამ დაადგინა, რომ ამიერიდან ანაშას, იგივე „პლანის“, მომწევებს ისევე დასჯის, როგორც დოპინგის ანაც ნარკოტიკების მომხმარებელ ფეხბურთელებს. გარდა ამისა, ფიფამ განაცხადა, რომ ბუტანსა და პალესტინაში დამკვირვებლებს მიავლენს. ისინი კარგად შეისწავლიან იქაურ ფეხბურთს და ფიფას მისწერენ, შესაძლოა თუ არა ამ ორი ქვეყნის მსოფლიოს ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში გაწევრიანება. იქვე ფიფამ დასძინა, რომ გიბრალტარის თხოვნა გაწევრიანების შესახებ გვიან მიიღეს, ამიტომ მათი საკითხი დეკემბერში განიხილება.**

შვედეთის ჩემპიონატის მეოცე ტური: გიოტებორგი — ლუნგსვილი 1:0, ნორჩიოპინგი — ჰელსინგბორგი 2:2, ჰალმშტადი — აიკ 1:0, ტრელებორგი — ორებრო 1:2, დეგერფორსი — ორგრიტე 0:2, მალმიო — ელფსბორგი 2:0, ვასტერასი — ოსტერი 3:0.

**ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ეკვადორთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ იხმო მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი ზინიო. ამას 1995 წლის აგვისტოში სამხრეთ კორეაში იქაურების 1:0 დამარცხების შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია.**

იტალიის თასის მეორე წრის პირველ მატჩში თითქმის ცარიელ „სან სიროზე“ „მილანმა“ „რეჯანას“ ვერ მოუგო — 0:0. მასპინძლებმა საზიზღრად ითამაშეს. მხოლოდ ვეა და დავიდსი აქტიურობდნენ, სხვები მეტად ზანტად ირჯებოდნენ. „მილანმა“ მეორე ნახევარში კაცი მოისაკლისა — 19 წლის ხორვატმა მცველმა დარიო სმოჯიმ მეტოქის ერთობ ორგანიზებული შეტევების შეჩერება ვერ შეძლო და მეორე გაფრთხილების გამო გააგდეს. მთლიანობაში მატჩმა, ისევე როგორც „მილანმა“, ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. მატჩის მერე კაპელომ მისი გუნდის ცუდი თამაში შეუთამაშებლობით ახსნა. განმეორებითი შეხვედრა რეჯო ემილიაში გაიმართება. ამ წყვილის გამარჯვებული „სამპდორიას“ ანაც „ტორინოს“ შეხვდება.

## 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

*დღეს ეგვიპტეში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ოთხ ჯგუფში გუნდები შემდეგნაირად განაწილდნენ:*

A ჯგუფი — ეგვიპტე, ტაილანდი, ჩილე, გერმანია.

B ჯგუფი — მალი, ახალი ზელანდია, მექსიკა, ესპანეთი. ამ ორი ჯგუფის თამაშები კაიროსა და ისმაილში ჩატარდება.

C ჯგუფი — ომანი, აშშ, ბრაზილია, ავსტრია.

D ჯგუფი — არგენტინა, განა, ბახრეინი, კოსტა რიკა. ამ ორი ჯგუფის თამაშებს ალექსანდრია და პორტ საიდი უმასპინძლებენ.

*მეოთხედფინალები 14-15, ნახევარფინალები 18, მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი კი 21 სექტემბერს გაიმართება.*

# ვინ უმასპინძლებს ოლიმპიადას?

## ხვალ, 5 სექტემბერს, ლოზანაში 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს დაასახელებენ

### ათენი — დიდი კულტურული მემკვიდრეობა

**ჯანა აგნელოპულოსი**

ათენი 2004-ის პრეზიდენტი



„ათენის კანდიდატურის უმთავრესი ღირსება უპირველესად, 28-ე ოლიმპიადის ჩატარების საყოველთაო სურვილია: ჩვენ მხარს გვიჭერს მთავრობა, ყველა პოლიტიკური პარტია, ათენის მერი, საბერძნეთის ოლიმპიური კამიტეტი, მოსახლეობის 96 პროცენტზე მეტი და ბერძნული სათვასტომოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ათენს შეეძლება ოლიმპიადის მასპინძლობა ინფრასტუქტურის სწრაფი გაუმჯობესების წყალობითაც. 2001 წლისთვის, იმის მიუხედავად, აგვირჩევენ თუ არა, სამი დიდმასშტაბიანი პროექტი დასრულდება: მეტროს გაფართოება, ევროპაში ყველაზე თანამედროვე აეროპორტის მოწყობა, 72 კილომეტრის სიგრძის ახალი გზების გაყვანა. ეს სამი პროექტი ქალაქის ცენტრში მანქანათა მოძრაობას საგრძნობლად შეამცირებს,

ჰაერის ხარისხს 35 პროცენტით გააუმჯობესებს.

ჩვენ გვაქვს ერთიანი კულტურული პროექტიც — უძველეს ოლიმპიადათა აღორძინება. მარათონს სპორტსმენები ისტორიული მარშრუტით გაირბენენ — როგორც 490 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ფინიშის ხაზს კი ათენის მარმარილოს სტადიონზე გადაკვეთენ, სადაც 1896 წელს ახალი ერის პირველი ოლიმპიადა ჩატარდა.

ასევე განსაკუთრებულია ოლიმპიური ჩირაღდნის ჩვენეული მარშრუტი: ცეცხლი ჩვენთან, ოლიმპიადის უძველეს სტადიონზე აინთება და მსოფლიოს გარშემო გაემგზავრება ხუთი კონტინენტის გასაერთიანებლად, რათა მიაღწიოს ყველასათვის სასურველ მიზანს — ყოველგვარი საომარი მოქმედებების შეწყვეტას თამაშების დღეებში და პლანეტაზე მშვიდობის დასადგურებას.

ათენი ყოველთვის იყო ოლიმპიური თამაშებისა და ოლიმპიური იდეალების ერთგული. ჩვენ ყოველ თანამედროვე ოლიმპიადაში დიდი ენთუზიაზმით ვმონაწილეობდით და გვსურს, 2004 წლის წარმატებული თამაშებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ოლიმპიურ მოძრაობაში".

ATENS 2004
CANDIDATE CITY

ახედეთ პართენონის ჯადოსნურ ნანგრევებს და მიხვდებით, რატომ აქვთ ბერძნებს ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენზია.

დაბლა კი ღლევანდელობაა: ქაოსური ქუჩები, ავტობუსები და უამრავი მოტოციკლი ერთმანეთს ადგილის მოპოვებაში ეჯიბრებიან, საშინელი გამონაბოლქვი ზაფხულობით სუნთქვას შეუძლებელს ხდის...

სულიერად, ათენის მასპინძლობა ყველაზე მისაღებია. მაგრამ სინამდვილე სხვაა, საბერძნეთის დედაქალაქი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას, მან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) უნდა დაარწმუნოს, რომ შეუძლია უდიდესი სპორტული სპექტაკლის მასპინძლობა. ათენელთა საორგანიზაციო კომიტეტის სული და გული მისი თავმჯდომარე, სახელიანი ადვოკატი ჯანა ანგელოპულოსია — ჩვენთვის ოლიმპიადა ცხოვრების გზაა — ამბობს ის — თამაშების მასპინძლობა უდიდესი პატივი იქნება. ათენში, ადამიანთა ისტორიის უთანამედროვეს ოლიმპიადას მოვაწყობთ.

ათენს, ყველაზე მეტად ზემოხსენებული სმოგი და გადატვირთული ქუჩები სწევს უკან, თუმცა აგნელოპულოსი მდგომარეობის გამოსასწორებელ მთელ რიგ პროექტებზე ამახვილებს ყურადღებას. დღეისათვის პატარა და უსახური აეროპორტი 2000 წელს განახლდება დ საათში ექვს ათას მგზავრს მიიღებს და გაისტუმრებს. იმავე წელიწადს მწყობრში ჩადგება მეტროს ახალი ხაზიც, დღეში 450 ათას ადამიანს რომ მოემსახურება, 2001 წელს კი საავტომობილო ტრასების რემონტიც დამთავრდება. მალე ამოქმედდება გარემოს დაცვის პროექტი, რომელიც ბიოლოგიურად განწმენდასაც კი მოიცავს. ანგელოპულოსის თქმით, ათენის განაცხადი იმითაა ძლიერი, რომ ჩამოთვლილი პროექტები ყოველ მიზეზს გარეშე ამოქმედდება, იმისდა მიუხედავად მიიღებს ქალაქი ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას თუ ვერა.

— ჩვენ ოლიმპიადისგან არაფერს ველით და მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რით ვარგებთ მას — აცხადებს ვექილი.

თუ საბერძნეთის დედაქალაქი გაიმარჯვებს, შეჯიბრებათა უმეტესობა უკვე არსებულ სპორტულ კომპლექსში გაიმართება, სადაც ძირითად სარბიელთა 72 სავარჯიშო ბაზათა 93 პროცენტია განლაგებული.

აგვისტოში, მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობაზე ათენის კონკურენტის, რომის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცმა, დოქტორმა პრიმო ნებიოლომ იქაურობა და იქაურები ერთობ გააკრიტიკა, რის პასუხადაც ანგელოპულოსისგან მიიღო: — ჩვენ ბატონ ნებიოლოს, როგორც IOC-ს წევრს, პატივს ვცემთ. საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ლამბის ნიკოლუმ კი ჩემპიონატის დაბალი დასწრება ბილეთების ფასით ახსნა.

იმავე პირველობაზე, ქალთა მარათონის ფინიში „პანათინაიკოსის" სტადიონზე უნდა გამართულიყო. უფრო სწორედ, გაიმართა, მაგრამ სარბიელზე მაყურებელი არ შეუშვეს. გავარდა ხმა, სადღაც ბომბი იყო ჩაფლული და იმას ეძებდნენო, მაგრამ ბერძენმა ორგანიზატორებმა ხელად უარჰყვეს ჭორი. მათი განცხადებით, სტადიონზე ხალხი იმიტომ არ შეუშვეს, რომ იქ მიბრძანება ათენის მერმა ინება და გზებიც ამის გამო იყო გადაკეტილი. სხვათაშორის, მაშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით დოქტორმა ნებიოლომ განაცხადა, რას იზამ, უსაფრთხოების მიზნით გზების გადაკეტვა სრულიად ბუნებრივიაო.

ოდესღაც, უხსოვარ დროს, თამაშები ათენში იმართებოდა. შემდეგ ჟამთასვლამ ისინი რომის იმპერიაში გადაიტანა.

დღეს, ჯანა ანგელოპულოსი აცხადებს, რომ თანამედროვე ათენი თანამედროვე რომზე ძლიერია.

**ჯონ მეჰაფი**

### ბუენოს აირესი — მთელი სამხრეთ ამერიკის მხარდაჭერა

**ფრანსისკო მაიორგა**

ბუენოს აირესი 2004-ის პრეზიდენტი



„აღფრთოვანებული ვარ ენთუზიაზმით, რასაც ბონარენსესები, როგორც ქალაქის მკვიდრთ უწოდებენ, იჩენენ ოლიმპიადის ჩატარების მიმართ. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან არგენტინაში სპორტი ძალიან უყვართ.

ფანილსტთა შორის იმიტომ აგვირჩიეს, რომ ჩვენი პროექტი ძალიან სოლიდურია. მისი ძირითადი ელემენტი — „მწვანე დარეფანი" სოკ-ის კომისიამ ძალიან მოიწონა. პროექტი შესანიშნავ პირობებს ქმნის თამაშების ჩასატარებლად. სპორტის სახეობათა ასპარეზი და სხვა აუცილებელ საშუალებათა დიდი უმრავლესობა მწვანე ოლიმპიური დერეფნის მიდამოებში მდებარეობს, ქალაქისა და რიო დე ლა პლატას საზღვარზე. ოლიმპიური სოფლიდან შესაბამის სარბიელზე მისასვლელად ოლიმპიური პროსპექტით სულ 5-დან 20 წუთამდე იქნება საჭირო. პროსპექტზე კი მხოლოდ ოლიმპიადის პერსონალი და დელეგაციები იმოძრავებენ. პროექტის კონცეფცია ერთიანი და დიდი პოტენციის მქონეა.

კიდევ ერთი ელემენტი, რაც ბუენოს აირესის კანდიდატურას ამაგრებს, რეგიონის ყველა ქვეყნის მხარდაჭერაა. ოლიმპიური ჩირაღდანი სამხრეთ ამერიკის თითოეულ სახელმწიფოზე და ანტარქტიდაზე გაივლის, რაც გარემოს დაცვის პრობლემებთან მის კავშირსაც გაუსვამს ხაზს.

ხუთი ქალაქის სიაში ბუენოს აირესის დასახელება იმაშიც გვარწმუნებს, რომ სოკ-ი ენდობა არგენტინის ეკონომიკას. დღეისთვის ჩვენი ფულის ერთეული რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია, ინფლაციის დაბალი მაჩვენებლები კი არგენტინას მსოფლიოში მოწინავეთა რიგში აყენებს. ჩვენ გთავაზობთ სრულ პიროვნულ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას, ორგანიზაციის უმაღლეს დონეს და არანაირი კონკურენციის არ გვეშინია."

BUENOS AIRES 2004
CANDIDATA

თუ მოხდა სასწაული და 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ბუენოს აირესს ხვდა წილად, იმ თითო-ოროლას, ამ ქალაქში რომ ცხოვრობს და სპორტი არ უყვარს, ალბათ გადასახლება მოუწევს. არგენტინის დედაქალაქი, თვით სამხრეთამერიკული სტანდარტებითაც კი, სპორტის ზომაგადასული ტრფიალია. გამორიცხულია, ჩაჯდეთ ტაქსში და მძღოლმა საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა ან ეროვნული გუნდის მწვრთნელის დანიელ პასარელას ფსიქოლოგიური პორტრეტი არ შემოგთავაზოთ.

უქმეებზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან საყვარელი გუნდის სიმბოლიკიან ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები. ბუენოს აირესში ძაღლებსაც კი „ბოკა ხუნიორსის" და „რივერ პლეიტის" მაისურებს აცმევენ.

— წარმოიდგინეთ, ამათ რომ მოიგონ. მთელი ქვეყანა გაგიჟდება — უთხრა „როიტერის" კორესპონდენტს ერთმა უცხოელმა.

ამასწინათ ფეხბურთელთა გაფიცვა ლამის ეროვნულ კრიზისად იქცა. „რივერპლეიტის" მავანმა ქომაგმა, ასეულობით კილომეტრით მოშორებული კორიენტესის პროვინციიდნ რომ ჩავიდა დედაქალაქში და გაიგო, მატჩი არ შედგებაო, შუა ქალაქში მაისური გაიხადა, დაანარცხა და იღრიალა, არგენტინელი ხალხი უფეხბურთოდ დატოვებას არ იმსახურებს, ასეთი რამ აღარასდროს უნდა განმეორდესო.

ბუენოს აირესი სოკ-მა კანდიდატ ქალაქთა სიაში მარტში შეიტანა. აღსანიშნავია, რომ არგენტინა ერთ-ერთია იმ თორმეტ ქვეყანას შორის, რომელთაც 1894 წელს ბარონ პიერ დე კუბერტენთან ერთად თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობა დააფუძნეს. მიუხედავად ამისა და კიდევ იმისა, რომ 1936, 1944, 1956 და 1968 წლებში ითხოვდა, ეს ქვეყანა ოლიმპიადის მასპინძელი არასდროს ყოფილა. დიდ შეჯიბრებას არგენტინელებმა 1978 წელს უმასპინძლეს. ეს საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის გახლდათ, რომელიც, მაშინდელმა სამხედრო დიქტატორთა მთავრობამ, თავის მიერ ჩადენილ საძაგლობათა მისაჩქმალად გამოიყენა. ქვეყანა დემოკრატიული წყობისკენ 1983 წელს მობრუნდა.

2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობას არგენტინაში არავინ ეწინააღმდეგებოდა. ის კი არა, კარლოს მენემი, ქვეყნის პრეზიდენტად მესამედ შესაძლოა სწორედ ოლიმპიადის ხელში ჩაგდების გამო აირჩიონ.

ბუენოს აირესის „ოლიმპიური კორიდორი" სიგრძეში 14 კილომეტრია. ის იწყება „რივენ პლეიტის" და მთავრდება „ბოკა ხუნიორსის" სტადიონით. შეჯიბრებათა უმეტესობა სწორედ ამ კორიდორში გაიმართება. კორიდორი ქალაქის ცენტრის პარალელურია. იქ განლაგებულია იპოდრომი, აუზები, პოლოს სტადიონი, კორტები და სხვა. სარბიელთა 75 პროცენტი უკვე არსებობს.

ბუენოს აირესის უპირატესობა ისიცაა, რომ იგი აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს სასაათო ზოლშია, რაც ტელეტრანსლაციებისთვის მისწრებაა. სამაგიეროდ, არგენტინის დედაქალაქს სასტუმროთა აშენება მოუწევს. IOC-ს ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ქალაქს სასტუმრო ოთახების 50-70 პროცენტი დასამატებელი აქვს. ამ მხრივ სამუშაოები დაწყებულია, წლეულს ოთხი სასტუმრო უკვე გაიხსნა, თვრამეტის მშენებლობა კი დაწყებულია.

ქალაქის აეროპორტი „ესეისაც", საგრძნობლადაა თანამედროვეობას ჩამორჩენილი, მაგრამ რადგან არგენტინაში ავიაციის პრივატიზაცია მიმდინარეობს, მოსალოდნელია, რომ ქალაქს მალე თანამედროვე საჰაერო ვაგზალი ექნება.

არგენტინას, რატომღაც არც სხვა კონტინენტელი ტურისტები სწყალობენ. 4,3 მილიონი ადამიანიდან, ყოველ წელს რომ ჩადის ამ ქვეყანაში, თითქმის ყველა სამხრეთამერიკელია. ჩრდილო ამერიკიდან და ევროპიდან მხოლოდ საქმეზე თუ ჩავა ხოლმე ვინმე. ოლიმპიადამ იქნებ საქმეც გამოასწოროს.

**სტივენ ბრაუნი**

### კეიპტაუნი

**კრის ბოლი**

კეიპტაუნი 2004-ის პრეზიდენტი

„აფრიკის დიდ ქალაქთაგან ყველაზე სამხრეთულმა ფინალურ ხუთეულში მოხსენიების უფლება თავისი პროექტის სრულყოფილებითა და იმ პროგრესის გამო მოიპოვა, რასაც სამხრეთმა აფრიკამ ყველა სფეროში მიაღწია აპარტეიდის გაუქმების შემდეგ. სოკ-ის არჩევანი იმაზეც მიუთითებს, რომ ის იმ რეგიონებსაც ენდობა, რომელთაც არანაირი ოლიმპიური გამოცდილება არ გააჩნიათ. ტოკიოს, მეხიკოსა და სეულის გარდა ხომ ოლიმპიადები მხოლოდ დასავლეთის ეგრეთ წოდებულ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ტარდებოდა, ეკვატორის ქვემოთ კი მხოლოდ ორჯერ ჩაინაცვლა — მელბურნში (1956) და სიდნეიში (2000). 2004 წლის თამაშების აფრიკაში ჩატარება ოლიმპიადების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება. კეიპტაუნის დასახელება ხუთთა სიაში ჩვენი პროექტის სისწორის დადასტურებაა. ქვეყანაში, რომელმაც პოლიტიკურ არენაზე რესპექტაბელურობა სულ ახლახან დაიბრუნა, ამან დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. ეს განწყობა კიდევ უფრო უკეთესია ახლა, როდესაც მთავრობამ ცხრაკაციანი კომიტეტი შექმნა ჩვენთვის

CAPE TOWN
2004
CANDIDATE CITY

ნეტარ არიან მორწმუნენი. ისინი ამბობენ, რომ კეიპტაუნისთვის უარის თქმა ნიშნავს ფანტაზიის უარყოფას, სულის ჩაწიხლვას, ანგარიშისა და გამორჩენის ტრიუმფს, ისტორიასთან პაემანის ჩაშლას. ისინი იმასაც ამბობენ, რომ მთელი შავი აფრიკა ან ახლა გაიხარებს, ან არასდროს. კეიპტაუნი თავისი უფლებისთვის იბრძვის, მაგრამ იგი დანარჩენი კონტინენტის ხვალინდელ დღეს უყრის საფუძველს.

კეიპტაუნი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, სადაც ცხოვრობენ ზანგები, თეთრები, ინდიელები, შერეულნი, მუსლიმანები, ქრისტიანები, მდიდრები, ღარიბები და ყველანი თავიანთ ქალაქში არიან შეყვარებულნი.

ტურისტები აქ ქვეყნის დასალიერს ათვალიერებენ. ქვემოთ მიწა აღარაა, იქ ატლანტიკის და ინდოეთის ოკეანეები ერთდება.

კონკურენტებთან შედარებით კეიპტაუნელებს მარტივი მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტები აქვთ. მაგალითად: „ჩვენ ძლიერ გვჭირდება ფული, რომელსაც ოლიმპიადისაგან ველით და თუ მივიღებთ, სხვებზე უკეთ გამოვიყენებთ" ან „თუ საოლიმპიადო ინვესტიციები ჩვენთან არ ჩაიდო, მას სხვა წაიღებს".

აეროპორტიდან, ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ძლევამოსილი ტებლის მთა მიი-

მას შემდეგ, რაც 1984 წლის ოლიმპიური თამაშებით ლოს ანჯელესმა განსაცვიფრებელი შემოსავალი მიიღო ღონისძიებიდან, რომელიც ადრე სრულიად წამგებიანად ითვლებოდა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მსოფლიოს უდიდესი სპორტული სანახაობის ჩატარების მსურველთა რიგები დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ორი მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორები სიდნეისა და ნაგანოში გარკვეულ ფინანსურ პრობლემებსა და საზოგადოებრიობის გულგრილ დამოკიდებულებას აწყდებიან, 2004 წლის კამპანიის მონაწილე ხუთ ქალაქში დღესა და ღამეს ასწორებენ, რათა თამაშების ჩატარების პატივი ირგუნონ. როგორც ტომას ბახი — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის თავკაცი ამბობს, ფინიშის ხაზთან კანდიდატებს ცოტა თუ აშორებს ერთმანეთისგან. ქალაქზე ძნელია არჩევანის გაკეთება, ხუთივე ქალაქს შეუძლია ოლიმპიადის მასპინძლობა."

„ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც 20 კაცისგან შედგება, 10 000 გვერდზე მეტი წაიკითხა და მსოფლიოს სხვადასხვა კიდეზე ერთად იმოგზაურა. ჩვენ ერთმანეთს ოჯახის წევრებივით ვიცნობთ და საერთო სულისკვეთება გაგვიჩნდა — თითოეულ გადაწყვეტილებას ერთხმად ვიღებთ. არსებობს 19 კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც უნდა ავირჩიოთ ოლიმპიადის მასპინძელი. თითოეულ კანდიდატს ოლიმპიადის საკუთარი ხედვა აქვს, ასევე, როგორც ჩვენი კომისიის ყოველ წევრს. მაგრამ არჩევანი ტექნიკური კრიტერიუმების სრულ დაკმაყოფილებაზე იქნება დამოკიდებული."

გაგაცნობთ ხუთ შემორჩენილ პრეტენდენტს.

### — მთავრობის ძლიერი მხარდამჭერა



ხელშესაწყობად და ყოველგვარი დახმარების გასაწევად.

ჩვენი გეგმა უაღრესად მარტივი და თითოეული მონაწილისთვის მოსახერხებელია. დარწმუნებული ვართ, რომ პირველი თამაშები აფრიკაში ყველასთვის ღირსსახსოვარი, შესანიშნავი იქნება. ჩვენ სრულად ვაკმაყოფილებთ სოკ-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს — თამაშები მასპინძელი ქალაქის მოსახლეობის მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ჯერ კიდევ პრეტენდენტობის განაცხადამდე პროექტს საზოგადოებრიობის 80 პროცენტზე მეტი იწონებდა, ახლა კი, პრეზიდენტ მანდელასა და მთავრობის დიდი დაინტერესების შემდეგ, მხარდამჭერთა ოდენობა მოიმატებს."

პყრობს თქვენს ყურადღებას, ხოლო შემდეგ აქეთ-იქით, ჭუჭყში მოთამაშე ბავშვები. ქალაქში ცხოვრება არცთუ უსაფრთხოა, საკმაოდ ხშირია დანაშაული, რაც ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელებს საკმაოდ აშფოთებს. ტრასაზე თუ მგზავრობთ, თვალს ჰკიდებთ პლაკატს: „კეიპტაუნი გაიმარჯვებს, ჩვენ ყველანი გამარჯვებულნი დავრჩებით".

ტებლის მთის შემოგარენში მრავლადაა შემოტანილი ხის მასალით ნაგები ვილები, რომლებიც თეთრკანიანებს ეკუთვნით. საერთოდაც, აფრიკის ქალაქებს შორის კეიპტაუნი ყველაზე თეთრია. ბევრი თვლის რომ, მას ჭეშმარიტ „შავ კონტინენტთან" არაფერი აქვს საერთო. სკეპტიკოსებმა შესაძლოა სწორედ ეს დაიხვიონ თითზე და შეეცადონ ლოზუნგი „კეიპტაუნის" ოლიმპიადა მთელი აფრიკის „ოლიმპიადაა", სიცრუეში ამხილონ.

მეორე მხრივ კეიპტაუნის ისტორია ტიპიური აფრიკული ისტორიაა. აქ კარგა ხანს ებრძოდნენ კოლონიალიზმს და გაიმარჯვეს კიდეც. დღეს, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი შავკანიანია, პარლამენტში კი ზანგური უმრავლესობაა და ისინი დემოკრატიულ ინსტიტუტებს აფუძნებენ.

ისინი, ვისაც ოლიმპიადის სიძლიერისა სწამს, (მათ რიცხვშია პრეზიდენტი ნელსონ მანდელა), ამტკიცებენ, რომ ქვეყნისთვის 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა დიდად მომგებიანი იქნება.

— კეიპტაუნის განაცხადი მთელი აფრიკის განაცხადია. ჩვენ აფრიკული რენესანსის ნაწილი ვართ და კონტინენტი საერთაშორისო მოვლენათა საფეხურზე აგვყავს. დროა ოლიმპიადამ მეოთხე კონტინენტზეც მოიკიდოს ფეხი. სამხრეთ აფრიკელმა ხალხმა რასიზმი დაამარცხა ნამდვილ ოლიმპიურ იდეალებს ეზიარა — განაცხადა პრეზიდენტმა.

კეიპტაუნელთა მხარდამჭერებმა კარგად უწყიან, რომ მათ რჩეულ ქალაქს ლოზანის კონგრესზე გამარჯვების დიდი შანსი არ აქვს, მაგრამ სწამთ, რომ განცხადებისთვის მაინც ისტორიულად სწორი მომენტი შეარჩიეს.

**დუგლას ჰამილტონი**

## რომი — საყოველთაო ენთუზიაზმი და გარემოს დაცვა

### რაფაელე რანუჩი

რომი 2004 გენერალური დირექტორი



„სანამ შარშან, ლოზანაში, ხუთ ქალაქს აირჩევდნენ, საშინლად ვნერვიულობდით, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, შესანიშნავი პროექტი გვქონდა წარდგენილი. რომში სპორტის სასახლესთან გიგანტური ეკრანი დავდგით, სადაც რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ადევნებდა თვალს არჩევნებს. როცა რომი გამოაცხადეს, თითქოს ყველა გაგიჟდა, ფეხბურთის მატჩის მსგავსად ღრიალებდნენ. რომაელთა ენთუზიაზმი უსაზღვროა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

ჩვენი პროექტის ერთ-ერთი ღირსება არის ის, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ყველა დავარწმუნეთ, თუ რა მაღალ დონეზე შეგვიძლია დიდი ტურნირების ორგანიზება. მაგალითად 1990 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ან საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოდგება. თანაც 38 გათვალისწინებული ობიექტიდან 30 უკვე დასრულებულია. ოლიმპიური სოფელი თამაშების შემდეგ ევროპაში უდიდეს საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებლად გარდაიქმნება. იქ 18 000 ახალი ოთახი იქნება, რომელთაგან 4000 უკვე 2000 წლისთვის აშენდება."

მას შემდეგ, რაც ფინალურ ხუთეულში გავაღწიეთ, თითოეულ ასპექტს ვაუმჯობესებთ. დიდ ყურადღებას ვაქცევთ გარემოს დაცვის საკითხს. ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, გრინფისსა და გარემოს დაცვის სხვა ორგანიზაციებს ვუთანხმებთ, „მწვანე" ფაქტორი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია."

ბევრს საუკეთესო კანდიდატად მივაჩნივართ, მაგრამ სხვებსაც ძალიან კარგი პროექტები აქვთ. ასე რომ, ფოტოფინიშს მოველით, ფავორიტად ყოფნა არაფერს ნიშნავს."




გაიარეთ მდინარე ტიბროსის სანაპიროს გასწვრივ ფორო იტალიკოზე და ნახავთ — რომი 2004 წლის ოლიმპიადისთვის დღეს მზადაა.

დიდებული ოლიმპიური სტადიონი 1990 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაარემონტეს. აქ ყოველ წელიწადს „გოლდენ გალა" უმაღლესი დონის მძლეოსანთა შეჯიბრება იმართება. მძლავრი ორგანიზაციის, იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავზე, სახელმწიფო და ოლიმპიური დროშები ფრიალებენ. ქვემოთ, იმ კორტებთან, სადაც რომაელები ყოველწლიურად ჩოგბურთელთა უპრესტიჟულეს ტურნირს მასპინძლობენ, ათლეტთა ქანდაკებებია. დიახ, ფორო იტალიკოს თუ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ რომი საოლიმპიადოდ მზადაა.

შემდეგ ქალაქის ცენტრისკენ გაუხვიეთ. იქ ბუნებრივია, ისტორიული ძეგლები მიიპყრობენ თქვენს ყურადღებას, მაგრამ შეუძლებელია მანქანებით გადატვირთული ქუჩებიც არ გეცეთ თვალში. მართლაც, ქალაქის ცენტრი მეოცე საუკუნის ბოლოს მიერ მოტანილ ცხოვრების წესს გაჭირვებით აუდის, 2004 წლის ოლიმპიადა კი ოცდამეერთეს დასაწყისშია და ის ეპოქა რა სიახლეს მოიტანს კაცმა არ იცის.

რომი გამოცდილი ქალაქია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან უმასპიძლა 1960 წლის ოლიმპიადას, 1987 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს და 1990 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს. ექსპერტები ამბობენ, რომ იმ სარბიელთა 79 პროცენტი, ქალაქს 2004 წელს რომ დასჭირდება, უკვე მზადაა. მათი დასკვნით, ასეთ პირობებში მყოფი ქალაქი ოლიმპიადის მასპინძლობით მხოლოდ იხეირებს, რადგან დასახარჯი ბევრი არაფერი ექნება.

უარყოფითი მხარე კი ყველაფერს აქვს. იტალიელ ჩინოვნიკებს მექრთამეობის და მაფიოზების სახელი აქვთ გავარდნილი, მაგალითად იმავე ოლიმპიური სტადიონის მშენებლობის ამბავი მოვიტანოთ. მისი რეკონსტრუქცია 70 მილიონი დოლარი უნდა დამჯდარიყო, მაგრამ სინამდვილეში 220 მილიონი დაჯდა.

დღეს, რომაელთა საორგანიზაციო კომიტეტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის დრო წარსულს ჩაბარდა.

— ჩვენ, სარეკლამო კამპანიას 8,5 მილიონი დოლარი დავახარჯეთ და თითქმის მთელი თანხა სპონსორებმა მოგვცეს — განაცხადა ქალაქის მერმა ფრანჩესკო რუტელიმ — იმავე საქმისთვის ათენმა 21 მილიონი გაიღო, რომლის მხოლოდ მესამედი გაიღეს სპონსორებმა, სტოკჰოლმმა და კეიპტაუნმა 25-25 მილიონი დახარჯეს, ბუენოს აირესმა — 20.

იტალიის ხელისუფლებამ საქალაქო სამუშაოებისთვის, რომელიც ძირითადად ტრანსპორტის პრობლემათა გადაწყვეტას მოიცავს 1,5 მილიარდი გამოჰყო. ატლანტის მარცხის შემდეგ, ტრანსპორტის საკითხს ხომ საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა.

— თვით რომის პაპმა თქვა, რომ იტალიის დედაქალაქი საცხოვრებლად ძნელი ადგილია. პაპი, მოგეხსენებათ სამსახურში ჩემსავით ავტობუსით არ დადის და თუკი მანაც რაღაც შენიშნა, ესე იგი მართლაც რთულად ყოფილა საქმე. — განაცხადა 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა კრისტიანო ბრუგიტამ, რომელიც გრძნობს, რომ მისი სურვილის მიუხედავად რომი მაინც მიიღებს 2004 წლის ოლიმპიადას და როგორც პატიოსანმა კაცმა IOC-ს განუცხდა გზიდან სექტემბრის მერე ჩამოგეცლებითო.

და მიუხედავად ყველაფრისა, საქმეები როგორც ჩანს ისე წავა, როგორც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცს, ადვოკატ პრიმო ნებიოლოს სურს.

**გიდეონ ლონგი**

## სტოკჰოლმი — გრძელი შვედური ღამეები და პროფესიონალიზმი

### ოლაფ სტენჰამერი

სტოქჰოლმი 2004 პრეზიდენტი



„შვედეთი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ქვეყანაა დიდი სპორტული ფორუმების გამართვაში. ჩვენ გვაქვს ასპროცენტიანი გარანტია, რომ დაფინანსების თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იქნება. გარდა ამისა, ტრანსპორტის საკითხი შესანიშნავად იქნება მოგვარებული. სპორტულ სარბიელთა 70 პროცენტი ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრის რადიუსში მდებარეობს, გარემოს დაცვის მაჩვენებლები კი შვედეთს ერთ-ერთი საუკეთესო აქვს მსოფლიოში. სოკ-მა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ივლისში ჩვენთან 19-საათიანი დღეებია. მცირენალექიანობა კი ჩვენს კლიმატს ოლიმპიადისთვის იდეალურად აქცევს. გარდა ამისა, არ არსებობს სტადიონი, რომელზეც იმდენი მსოფლიო რეკორდი დამყარებულიყოს, რამდენიც ჩვენს 1912 წლის ოლიმპიურ სტადიონზე.

ჩვენ ასევე იდეალურ პირობებს შევუქმნით სპორტსმენებსა და მასმედიას, თანამედროვე ოლიმპიური სოფელი კი იმის გარანტია იქნება, რომ შვედეთში ყოფნა ყველასთვის სასიამოვნო და სასურველი იქნება. სტოკჰოლმის საფინალო ხუთეულში არჩევა ქალაქის მომავლისთვის უკვე ბევრს ნიშნავს. ეს ამბავი ხომ მსოფლიოს 10 000 გაზეთსა და 1000-ზე მეტ სატელევიზიო არხზე გამოცხადდა. ასე რომ, ჩვენი სტატუსი კიდევ უფრო ამაღლდა. ეს რეკლამა კი სხვა მსოფლიო კლასის ფორუმების სამასპინძლოდაც დაგვეხმარება.

ვიმედოვნებ, რომ იმ ქალაქს აირჩევენ, რომელიც საუკეთესო თამაშებს მოაწყობს, და, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ სტოკჰოლმი საუკეთესო არჩევანია."




მშვიდობიან და უშფოთველ შვედეთის დედაქალაქს 2004 წლის ოლიმპიადის მოპოვების შანსი ერთიორად მას მერე შეუმცირდა, რაც ტერორისტებმა ორჯერ ბომბი ააფეთქეს, რვაჯერ კი სხვადასხვა ალაგას ხანძარი გააჩინეს. არადა მათი განაცხადი შვედთათვის ჩვეული ზედმიწევნით იყო შედგენილი და უამრავ დასაბუთებასა და დეტალს შეიცავდა. ამ კვირაშიც სტოკჰოლმის პოლიცია საგანგებო მზადყოფნაში გახლდათ.

— სტოკჰოლმისა და გიოტებორგის სტადიონებზე განხორციელებული აფეთქებები შესაძლოა ერთიდაიმავე ჯგუფის მოწყობილია — განაცხადა შვედეთის პოლიციის პრეს-მდივანმა.

ცნობილია, რომ ტერორისტულმა დაჯგუფებამ, რომელიც თავს უწოდებს „ჩვენ, ვინც შვედეთი ავაშენეთ", ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოს გაუგზავნა ფაქსი, სადაც ეწერა: „თუ სტოკჰოლმმა 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო, სპორტსმენებს და მაღალი თანამდებობის პირებს მოწამლული ისრები და საჰაერო ტყვიები ელით."

სტოკჰოლმის მასპინძლობის მოთავემ, მილიონერმა ოლაფ სტენჰამერმა ამის პასუხად განაცხადა: „ოლიმპიური მოძრაობა ტერორისტს ან ტერორისტთა დაჯგუფებას მკაცრად უნდა აღუდგეს წინ, საამისოდ კი ერთადერთი გზა სტოკჰოლმის კანდიდატურის მხარდაჭერა გახლავთ."

მან გამოთქვა ეჭვი, რომ აფეთქებები და ხანძრები სტოკჰოლმის მეტოქე ქალაქების წარმომადგენლებმა მოაწყეს.

„ყველა ჩვენთაგანს უჭირს დაჯერება, რომ ასე პროფესიულად მოწყობილ საბოტაჟს სათავე შვედეთში აქვს. შვედეთი ხომ ის ქვეყანა, რომელსაც ღია დისკუსიების ხანგრძლივი ისტორია აქვს და სადაც ძალადობა არასდროს ხდება. მაშ ვინ არის ყოველივეს უკან? ვინ ხელმძღვანელობს?! ვის არ აწყობს ოლიმპიადის სტოკჰოლმში გამართვა?"

უსაფრთხოების საკითხებს თავი რომ დავანებოთ, მიუკერძოებელ ექსპერტთაგან თითოოროლა თუ ეჭვობს, რომ შვედები ოლიმპიურ ამოცანას უმაღლეს დონეზე გადაჭრიან. 700 წლიანი ქალაქის სესტუმროდან თუ მიმოვიხედავთ, დავინახავთ, რომ ირგვლივ სიმშვიდეა, ვიგრძნობთ, რომ იქაურები ეკოლოგიურ პრობლემებს უდიდეს ყურადღებას აქცევენ. თუნდაც სხვადასხვა ფერის სანაგვე ბუნკერები ავიღოთ, ისინი სხვადასხვა ტიპის ნაგვისთვისაა გამოყოფილი. დიახ, შვედები ნაგავს ახარისხებენ და ისე ყრიან. შვედების მიერ შემუშავებულმა ოცდაათწლიანმა პროექტმა მანქანების გამონაბოლქვის წინააღმდეგ შედეგი გამოიღო.

შვედეთში, ივლისში, 19 საათიანი დღეებია, ტემპერატურა 20 გრადუსს აღწევს, ტენიანობა კი მინიმალური გახლავთ. სტოკჰოლმის განაცხადსა და კანდიდატურას მხარი დაუჭირა ავსტრალიელმა გარემოს დამცველმა, საერთაშორისო გრინფისის ყოფილმა აღმასრულებელმა შეფმა პოლ გილდინგმა, რომელმაც განაცხადა: „ამ ზონაში სტოკჰოლმი ერთადერთი ქალაქია, რომელთანაც ჩვენ ვითანამშრომლებთ. აქ ჩვენ მსოფლიო ისტორიაში არნახულ ეკოლოგიურ განვითარებასთან გვაქვს საქმე, ეს კი ამ ქვეყნად ყველაფერზე მნიშვნელოვანია."

ოლიმპიური სოფელი ისეთ ადგილას გაშენდება, საიდანაც სპორტსმენები სტადიონებზე ფეხით ჩაისეირნებენ.

სტოკჰოლმის კანდიდატურას საჯაროდ უჭერენ მხარს ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავი სტეფან ედბერგი, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლუისი და 800 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენი უილსონ კიპკეტერი და 1972 წლის ოლიმპიადის შვიდი ოქროს მედლის მფლობელი, ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი.

მაგრამ ტერორისტებმა ბომბი ააფეთქეს...

**ჯონ მეჰაფი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| ბასტია — ბორდო | 1,8 | 2,7 | 3,6 |
| კანი — მონაკო | 4,0 | 2,8 | 1,7 |
| ლანსი — ნანტი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ოსერი — შატორუ | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| მონპელიე — გინგამი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სტრასბური — პსჟ | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| რენი — მეცი | 2,5 | 2,8 | 2,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| ბირმინგემი — იფსვიჩი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ბრედფორდი — სანდერლენდი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მანჩესტერ სიტი — ქრიუ | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მიდლსბრო — ჰადერსფილდი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ქუინზ პარკი — პორტსმუთი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ნორვიჩი — ჩარლტონი | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ოქსფორდი — ვულვერჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| შეფილდ იუნაიტედი — სტოკ სიტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ბერი — ტრანმერი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| სვინდონი — ნოტინგემი | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — რედინგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 9 სექტემბერი | | | |
| პორტ ვეილი — სტოკპორტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ბეტისი — ბილბაო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დეპორტივო — მალიორკა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ესპანიოლი — სელტა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სარაგოსა — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სოსიედადი — რასინგი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სპორტინგი — ტენერიფე | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| სალამანკა — რეალი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| მერიდა — კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვალენსია — ბარსელონა | 2,5 | 2,8 | 2,2 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| დი სანგრო — ანკონა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ფ. ანდრია — კიევო | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| ფოჯა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ჯენოა — ლუკეზე | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| პესკარა — კალიარი | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| რავენა — პერუჯა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| რეჯინა — რეჯანა | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| ტორინო — პადოვა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ტრევიზო — სალერნიტანა | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ვერონა — მონცა | 1,25 | 3,6 | 7,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| ბეშიქთაში — ტრაბზონსფორი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ფენერბაჰჩე — გალათასარაი | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| მაასტრიხტი — ბრედა | 2,7 | 3,0 | 2,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| ხორვატია — ბოსნია | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,6 | 5,6 |
| სლოვენია — საბერძნეთი | 4,7 | 3,1 | 1,5 |
| შვეიცარია — ფინეთი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| აზერბაიჯანი — ნორვეგია | 16,0 | 7,0 | 1,01 |
| 2:0 | 5,0 | 3,2 | 1,3 |
| ავსტრია — შვედეთი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| შოტლანდია — ბელარუსი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,2 | 5,0 |
| ლატვია — ესტონეთი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ფარერები — ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| 2:0 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ჰოლანდია — ბელგია | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ისლანდია — ირლანდია | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| ლიხტენშტაინი — რუმინეთი | 16,0 | 7,0 | 1,01 |
| 4:0 | 2,4 | 3,2 | 1,7 |
| ლიტვა — მაკედონია | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| გერმანია — პორტუგალია | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სომხეთი — ალბანეთი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ლუქსემბურგი — კვიპროსი | 2,7 | 3,0 | 2,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

პროფესიული ჭიდაობა

*ბოლოხანს ქართველი ათლეტები პროფესიულ ჭიდაობას მიეძალნენ და არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ იაპონიას მიაშურა. მათ შორის ზოგი სახელიანი იყო (დავით ხახალეიშვილი, დავით გობეჯიშვილი, გიორგი კანდელაკი, ზაზა თურმანიძე), ზოგიც [illegible] და მარად პერსპექტიული სპორტსმენი. ერთნი ფულის საშოვნელად წავიდნენ ამომავალი მზის ქვეყანაში (ერთ ორთაბრძოლაში პროფესიული ჭიდაობის იაპონური კლუბები [illegible] 500 დოლარს უხდიან მოწვეულ ათლეტებს),/ მეორენი, უბრალოდ, გა[illegible]. [illegible] ვინც პროფესიული ჭიდაობა სულით / და გულით შეიყვარა და კრივში, კარატესა თუ სამოყვარულო ჭიდაობაში დაკარგული მედლების მოპოვებას იაპონიაში ცდილობს. მათ შორის უპირველესნი ტარიელ და ამირან ბიწაძეები და ზაზა ტყეშელაშვილი არიან. ძმების ამბავი ადრე გაუწყათ „სარბიელმა". ამჯერად ზაზა ტყეშელაშვილზე შევჩერდებით. მით უმეტეს, ზაზა ლევან ებანოიძესთან ერთად პირველია საქართველოდან, ვინც იაპონური კლუბის წევრი გახდა. ეს ამბავი კი, როგორც ზაზა იხსენებს, ასე დაიწყო.*

# ტოკიოს მეხი დაეცა



**ზაზა ტყეშელაშვილმა პროფესიული ჭიდაობა იაპონელი ტამურას ძლევით დააჭაშნიკა**

— 1991 წელს სამბოს ფედერაციის ახლანდელმა პრეზიდენტმა ნოდარ ექვთიმიშვილმა ქართველი კარატისტები და მოჭიდავეები მოსკოვში წაგვიყვანა. იქ ესენგეს სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც დაგვხვდნენ, სულ ორმოცდაათმა კაცმა მოვიყარეთ თავი. ოლიმპიურ სოფელში პროფესიული ჭიდაობის იაპონური კლუბების მენეჯერებმა გაგვსინჯეს და რამდენიმე კაცი შეარჩიეს. მე და ლევან ებანოიძე ტოკიოს კლუბ „რინგსში" მოვხვდით. ტოკიოში ჩასვლისთანავე, მესამე დღეს უკვე რინგზე გამიყვანეს, იაპონელ ტამურას შევხვდი. ნახევარი საათი ვიბრძოლეთ, ერთხანს მიგებდა კიდეც წერილთვალება, მაგრამ მაინც ვძლიე.

**— სულ რამდენი ბრძოლა გადაიხადე იაპონიაში?**

— ოცდაორჯერ გავედი რინგზე. 18 შეხვედრა მოვიგე და ოთხჯერ დავმარცხდი. ლეკმა გამზათხანოვმა, რუსმა ნიკოლოზ ზუევმა, ჰოლანდიელმა დიკ ფლაიმ და იაპონელმა აკირა მაიდამ მომიგეს.

**— ეს ის მაიდაა, ზაურ ცხადაძემ ნეკნი რომ გაუტეხა?**

— ის არის. მაიდა „რინგსის" პრეზიდენტია, ჩვენი პატრონი, ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ დავმარცხდი. რაღაცნაირად შებოჭილი ვეჩხუბებოდი, სხვათა შორის, მაიდას გარდა, ვისთანაც წავაგე, ყველასთან ერთი ბრძოლა მაინც მომიგია, ან მანამდე, ან შემდეგ ამილია რევანში. ერთი სული მაქვს, მაიდასთან კიდევ მომიწიოს ბრძოლა, ზაურ ცხადაძეზე ნაკლებ დღეში არ ჩავაგდებ ჩვენს პრეზიდენტს.

**— ლევან ებანოიძის გარდა თუ ხვდებოდი იაპონიაში სხვა ჩვენებურებს?**

— ზოგს ტელეფონით ვეხმიანებოდი, ზოგს შევხვედრივარ კიდეც. გია გალდავა და ზაურ ცხადაძე შემხვდნენ ტოკიოში.

**— ზაურმა არაერთი კურიოზი გაიხსენა იაპონური ცხოვრებიდან, შენც გექნება მოსაგონებელი სამხიარულო ამბავი.**

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, მე უფრო დიდხანს ვიყავი იაპონიაში. ერთხელ მე და ლევან ებანოიძე ნაყინის მწარმოებელ ერთ-ერთ იაპონურ ფირმაში მიგვიწვიეს. საამქროები, ტექნოლოგია და ათასი რაღაც დაგვათვალიერებინეს. შოკოლადის ნაყინი მოგვეწონა ძალიან. ავდექით და ოთხ-ოთხი ცალი ნაყინი მასპინძელთა ფარულად ქურთუკის ჯიბეში ჩავიდეთ, ამას შინ შევჭამთო, ვიფიქრეთ. იაპონელებმა თავი მოიქარჩლეს, საამქროში პატივისცემას არ დასჯერდნენ და ფირმის პრეზიდენტმა კაბინეტში მიგვიწვია, რა თქმა უნდა, წესისამებრ ქურთუკები გავიხადეთ და ჩამოვკიდეთ. ზაფხული იყო. ტოკიოს სიცხისა მოგეხსენება, ამიტომ, ვიდრე პრეზიდენტს ვესაუბრებოდით, ნაყინი გადნა და იატაკზე დაიწყო წვეთა. იაპონელები გაოგნებულნი გვიყურებდნენ. ბოლოს მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და წამოსვლისას ერთი ყუთი ნაყინი გამოგვატანეს.

ამ ამბავს კი გია გალდავა მომიყვა და ზაზას აღარ შევაწუხებ, თავად გიამბობთ. ტოკიოში გია გალდავა, ზაზა ტყეშელაშვილი და ზაურ ცხადაძე ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ, გვერდიგვერდ ოთახებში. ბიჭებს მობეზრდათ ბრინჯის და ლოკოკინების ჭამა და ქართული კერძები მოენატრათ. პროდუქტს მაღაზიაში ყიდულობდნენ და მორიგეობით ამზადებდნენ საჭმელს. ზაურ ცხადაძეს მოსწყინდა სამ დღეში ერთხელ მზარეულობა და ერთხელაც კერძს იმდენი მარილი უქნა, ახლოს ვერ გაეკარებოდა კაცი. გიასა და ზაზას თურმე მლაშე საჭმელი ჰყვარებიათ და გემრიელად შეექცნენ წვნიანს. თავად ზაურმა კი პირი არ დააკარა, უგუნებობა მოიმიზეზა, ჩავიდა სასტუმროს რესტორანში და ბიჭებისგან ფარულად მობეზრებული ბრინჯი მიირთვა. მეორე მორიგეობისას ზაურმა უფრო მეტი მარილი ჩააყარა ქვაბში — იქნებ ახლა მაინც მითხრან, არ იცი კერძის გამზადებაო. არც ახლა გაუვიდა ცხადაძეს — ბიჭებმა უწინდელივით გემრიელად ისადილეს, ზაურმა კი კვლავ რესტორანს მიაშურა მალულად. მესამედ კიდევ მოუმატა ზაურმა მარილის დოზა, ამჯერადაც ნასიამოვნები დარჩნენ მეგობრები ცხადაძის მომზადებული კერძით. ესენი არანორმალურები არიანო, უფიქრია ცხადაძეს, ბიჭებს მარილები არ გავუჩინოო და მოეშვა გოლიათი ოინბაზობას. ბოლო ჯერზე მართლა ბევრი მოუვიდა მარილი, მაგრამ გიამ და ზაზამ იცოდნენ ზაურის ჩანაფიქრი, ამიტომ სულ ძალისძალით ჭამეს ის კერძი. კიდევ კარგი, აღარ მოუმატა მარილის დოზას, თორემ დაგვხოცავდაო, — მითხრა გია გალდავამ. ამის შემდეგ ზაურ ცხადაძე იმერული რეცეპტებით პატიოსნად გემრიელ საჭმელს ამზადებდა.

ეს ამბავი ზაზასაც შევახსენე, მანაც კერძებზე გამახსენდაო და, აი, რა მიამბო.

— იაპონიაში ახალი ჩასულები ვართ. დილით, ვარჯიშის შემდეგ, კლუბის სასადილოში ვსადილობდით. ერთ დღესაც სადილზე იაპონელებმა მაკარონი მოიტანეს. როგორც წესი, ჩხირებით ვჭამდით. მე, ასე თუ ისე, შევეგუე ჩხირებით ჭამას, ლევან ებანოიძე კი ვერა. მით უმეტეს მაკარონის ჭამა გაუჭირდა — როგორღაც მოახერხებდა ჩხირებით მაკარონის აღებას, მიიტანდა პირთან და ისევ თეფშზე დაუვარდებოდა. დაიტანჯა საწყალი. ბოლოს, ამათი დედაც ვატირეო, „დალოცა" იაპონელები და თავი მიანება მაკარონს. მეორე დღესაც იგივე განმეორდა, კვლავ მშიერი გამოვიდა სასადილოდან. ბოლოს მაღაზიაში დანა-ჩანგალი იყიდა, სულ ჯიბით დაატარებდა და იმით მიირთმევდა.

**— იაპონელები როგორ გექცეოდნენ?**

— მე, მაგალითად, არანაირი პრობლემა არ მქონია. „რინგსის" ხელმძღვანელები წესიერი და პირიანი ხალხია, გულშემატკივრები კი ქუჩაში მაჩერებდნენ, მესაუბრებოდნენ და ავტოგრაფს მთხოვდნენ. არც იქაური პრესა და ტელევიზია იშურებდა ჩვენთვის ტკბილ სიტყვას.

**— იქ ძალიან უყვართ პროფესიული ჭიდაობა?**

— სხვათა შორის, ყველას არ მიუწვდება ხელი, ამ სიამოვნებით რომ დატკბეს. შეჯიბრების დროს ბილეთები საკმაოდ ძვირია, მაგრამ მაინც 10 ათასზე ნაკლები კაცი არ მინახავს დარბაზში. ერთხელ კი 18 ათასი კაცი დაესწრო ტურნირს. ასპარეზობის დროს ნიძლავებიც ხშირია. სპორტსმენებსაც ხეირიანი ანაზღაურება და საუკეთესო საწვრთნელი პირობები აქვთ. პროფესიული ჭიდაობა, რომ იტყვიან, იაპონიაში გაფუფუნებულია. ნიძლავზე გამახსენდა: ამერიკელ ვილი ვილიამსს ვხვდებოდი. ეს კაცი მსოფლიოს ჩემპიონია კარატეში და ჩვენს სახეობაშიც ერთ-ერთი საუკეთესოა. სხვათა შორის, ზაურ ცხადაძესაც ჰყავს ნაცემი ვილიამსი. რა დასამალია, ფავორიტად ვილიამსი ითვლებოდა, მთელი შეხვედრის მანძილზე მირტყა, კარგად მომბეგვა, მაგრამ ბოლოს ფეხიდან ავიყვანე და მტკივნეული ფანდით გავიმარჯვე. თურმე ერთმა იაპონელმა ტოტალიზატორში ფსონი ჩემს სასარგებლოდ ჩადო და ბლომად ფულიც მოიგო. მოვიდა ეს კაცი ჩემთან და ათასი მადლობა მითხრა. ოქროსჩარჩოიანი სათვალე მაჩუქა და არ მომეშვა, ვიდრე რესტორანში არ წამიყვანა.

**— კარატისტები, მოკრივეები და მოჭიდავეები ეტანებიან პროფესიულ ჭიდაობას. რომელი სახეობის მიმდევარი უფრო მეტ წარმატებას აღწევს.**

— ისე არ ჩამიგოთ, მე რომ მოჭიდავე ვარ, იმიტომ ვამბობდე — მოჭიდავენი უფრო ძლიერები არიან. შესაძლოა, მოკრივემ და კარატისტმა ბევრი გირტყას, დაგასისხლიანოს, მაგრამ უფრო ხშირად მაინც მოჭიდავე იმარჯვებს იმიტომ, რომ მათზე მეტი შებოჭვის ილეთები და მტკივნეული ფანდები იცის.

**— ქართველები თუ შეხვედრიხართ ერთმანეთს?**

— ყველაფერი ბედზე და კენჭისყრაზეა დამოკიდებული. ერთხელ კობა კუპატაძეს შევხვდი და მოვუგე. რა ვქნა, სპორტი სპორტია, საქმის ღალატი არ მიყვარს. ეგ კი არა, ერთხელ ძმები ბიწაძეები შეხვდნენ ერთმანეთს. ტარიელი და ამირანი ისე გააფთრებით იბრძოდნენ, გეგონებოდა, სისხლი მართებდათ ერთმანეთისა, ბრძოლის შემყურე ვერ იფიქრებდი, თუ ძმები ჩხუბობდნენ.

**— ბევრი ჩვენებური იაპონიისკენ აღარც კი იყურება. შენ რას აპირებ?**

— ბოლოს „რინგსის" სახელით ივნისში ვიასპარეზე ტოკიოში, ახლა ოქტომბრისთვის ველოდები კლუბიდან მოწვევას და აუცილებლად ჩავალ. ჩვენი ბიჭებიდან ზოგმა ფეხი ვერ მოიკიდა იაპონიაში. რა დასამალია, ზოგმა ვერ ივარგა, ზოგს ოჯახი და სააქაო საქმე უხმობდა. მეც მყავს ოჯახი, მაგრამ ძალიან შემიყვარდა პროფესიული ჭიდაობა, 31 წლის ვარ და თავისუფალი ჭიდაობისთვის, ალბათ, აღარ გამოვდგები. ნიჭიერი თაობა მოდის და წინ არ გადავეღობები, ატლანტის ოლიმპიადის მერე აღარ მიჭიდავია. თანაც, ტოკიოში დიდ პატივს მცემენ, კლუბში დიდი ავტორიტეტი მაქვს. სხვათა შორის, იქაურები გრომ-ზაზას მეძახიან — მეხი-ზაზაო. ქომაგებსაც ვუყვარვარ და სულ უკან დამდევენ. აბა, რატომ ვთქვა უარი პროფესიონალ მოჭიდავეობაზე?

**— იაპონიაში პერიოდულად, მაქსიმუმ ორ თვეში ერთხელ გიწვევენ. დანარჩენ დროს რას საქმიანობ?**

— თბილისის ვეტერინარიის სამმართველოში ვმუშაობ, ჩემს თანამშრომლებს შევაყვარე პროფესიული ჭიდაობა და მქომაგობენ კიდეც. სამმართველოს უფროსი ნუკრი გუგუშვილიც ჩემი დიდი გულშემატკივარია და ყველანაირად მეხმარება, რომ ვარჯიშში ხელი არ შემეშალოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ვინღა დარჩათ ამერიკელებს?



კორდა გამარჯვებამ ააკუნტრუშა.

**US OPEN**

## ორშაბათი

ჩოგბურთში შეიძლება არ გაგიმართლოს — ბურთი მცირე მანძილით ასცდეს ხაზს, ბადეზე ასხლტეს და უკან გადმოვარდეს, გადამწყვეტ მომენტში ჩოგანზე სიმი გაგიწყდეს, მაგრამ ეს ყოველივე როგორ მოვა იმ უიღბლობასთან, რაც ზედიზედ ორ დიდი სლემის ტურნირში ჩეხ პეტერ კორდას შეემთხვა: უიმბლდონზე 25-ე ჩოგანი იყო მსოფლიოში და მერვედფინალში პიტ სამპრასს გადაეყარა, ახლა მეთხუთმეტედ იყო განთესილი და მეოთხედფინალში გასასვლელად კვლავ ამ ჩოგბურთის „ტერმინატორთან" მოუწია შებმა. კორდამ სამპრასს ყველაზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უიმბლდონზე და ავდრისგან შეწყვეტილი მატჩი მხოლოდ მეხუთე სეტში წააგო. მაშინ ჩეხი წინასწარ იმუქრებოდა, არაჩვეულებრივი ცაცია ვარ და სამპრასს არაფერს დავუთმობო, „ოუფენზე" კი ჭკუა იხმარა და გაჩუმება არჩია, თუმცა მაშინდელივით სიტყვებით კი არა, საქმით დაამტკიცა თავისი გამორჩეულობა. არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე შეკრებილმა 23 ათასმა მაყურებელმა ისეთი მატჩი იხილა, წელიწადში ორი-სამი თუ გაიმართება ხოლმე.

პირველი სეტი კორდას უპირატესობით მიმდინარეობდა, რამდენიმე ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა და შედეგად ტაი-ბრეიკზე დამარცხდა კიდეც. აი, სამპრასმა კი მეორე ხელის დასაწყისში პირველივე შანსი არ გაუშვა ხელიდან და 3:0 დაწინაურდა. ყველაფერი ამერიკელის მორიგი იოლი გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ ჩეხმა თამაშს უმატა, მეტოქის მოწოდებაზე დაწინაურდა და სამპრასმა გადამწყვეტ მომენტში, ყველასთვის მოულოდნელად, ორმაგი შეცდომა დაუშვა. კორდამ ამავე ხელში კიდევ ერთხელ წაართვა მოწოდება ამერი-



სამპრასი: ეს ვისთან წავაგე...

კელს და ანგარიში გათანაბრდა. მესამე სეტში საქმე კვლავ ტაი-ბრეიკამდე მიდგა, სადაც ჩეხმა შეუდარებლად ითამაშა მიღებაზე, 7:2 მოიგო და ეს ჰაერში საფირმო შეკუნტრუშებით აღნიშნა. სამაგიეროდ, მეოთხე ხელში სამპრასი დომინირებდა, ისევე, როგორც მეხუთის დასაწყისში, სადაც კვლავ 3:0 დაწინაურდა. და აქ ჩეხი ისე ათამაშდა, როგორც ნამდვილ პირველ ჩოგანს შეეფერება: ზედიზედ რამდენიმე ეისი, მერე კი სამპრასის მოწოდებაზე ბრწყინვალე შემოტარებები და ანგარიში კვლავ 3:3-ია. ამერიკელმა მაყურებელმა მოახლოებული საფრთხე რომ იგრძნო, „პიტ"-ის წივილით აიკლო იქაურობა, გვერდითმა მსაჯებმა კი „რატომღაც" მის სასარგებლოდ დაიწყეს შეცდომების დაშვება, მაგრამ ჩეხის თამაშს არაფერი დასტყობია, სამპრასს კი სულ უფრო და უფრო უჭირდა მოწოდების შენარჩუნება, თანაც მარცხენა მხრიდან დარტყმა — ბექჰენდი სრულებით მოეშალა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. საბოლოოდ, საქმე, მატჩში უკვე მესამედ, კვლავ ტაი-ბრეიკამდე მივიდა. პირველი სამი ქულა კორდამ სამპრასის მარტივი შეცდომების ხარჯზე მიითვალა, მერე კი მიღებაზე აუღებელი ბექჰენდით ანგარიში 4:0 გახადა. ნათელი გახდა, რომ ყველაფერი მორჩა. სამპრასის გამომეტყველება არიგო საკის დამფრთხალ გამოხედვას დაემსგავსა „მილანის" მორიგი „ტრიუმფის" შემდეგ, მაყურებელს კი ყვირილის შნოც აღარ შერჩა. კორდამ უკანასკნელი ქულა მძლავრი მოწოდებით მოიპოვა, მერე თავზე ორივე ხელი დაიდო და კარგა ხანს ერთ ადგილზე იდგა, ეტყობა, გამარჯვებისა კიდევ არ სჯეროდა. 6:7 (4:7), 7:5, 7:6 (7:2), 3:6, 7:6 (7:3). მეტოქეებმა ხელი რომ ჩამოართვეს ერთმანეთს, ჩეხმა შეკუნტრუშება დააპირა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა, ალბათ, ამხელა კაცს აღარ შემშვენისო. პრესკონფერენციაზე სამპრასი დაბნეულად ლუღლუღებდა, ბევრი შანსი მქონდა და არ უნდა წამეგოო, კორდამ კი განაცხადა, ჩემი თავის მეამაყებაო. „ოთხი წელი ისე გამიცდა, თითქოს არც ყოფილიყოს, მაგრამ ახლა კვლავ მწვერვალისკენ მივდივარ. ვისურვებდი, ასეთი საღამო კიდევ ბევრი მქონდეს კარიერაში." ასეა თუ ისე, აყლაყუდა, გრძელკისერა, ძვალტყავა და წითურმა კორდამ შეძლო ის, რასაც სამპრასის მიერ ნაგვემ-დაბრიყვებული ჩოგბურთელები მოუთმენლად, მაგრამ უიმედოდ ელოდნენ. მან წლევანდელ „ოუფენს" აზრი დაუბრუნა — ახლა დარჩენილთ შეუძლიათ თავისუფლად ამოისუნთქონ და ჩემპიონობაზეც დაიწყონ ფიქრი.

სამპრას — კორდას მატჩი ამ დღის ერთადერთი დაძაბული მატჩი გამოდგა. ჰოლანდიელმა რიხარდ კრაიჩეკმა ესპანელი ფელიქს მანტია (12) სამ სეტში დაამარცხა 7:5, 6:3, 6:4. ჩეხმა დანიელ ვაცეკმა „სკადი" ფილიპუსისი კი გააგდო, მაგრამ კიდევ ერთ ეისმენს — ბრიტანელ გრეგ რუზეცკის ვერაფერი მოუხერხა 6:7; 2:6, 2:7. შვედი იონას ბიორკმანი კვლავ შთამბეჭდავად გაუსწორდა მორიგ მეტოქეს — ამჯერად ავსტრალიელ სკოტ დრეიპერს: 6:3, 6:3, 1:6, 7:6.

ქალთა შორის ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა და ყველამ ორ სეტში. მარტინა ჰინგისმა არგენტინელი ფლორენსია ლაბატი გაანადგურა 6:0, 6:2 და მეოთხედფინალში თავის მეწყვილე ესპანელ არანჩა სანჩეს-ვიკარიოს (10) შეებმება, ვინაც ავსტრალიელი რეიჩელ მაკქვილანი გააგდო 6:1, 6:2. ასევე წყვილებში პარტნიორები — ნოვოტნა (3) და დევენპორტი (6) შეებმებიან ერთმანეთს კიდევ ერთ მეოთხედფინალში. ჩეხმა ვეტერანმა მერი ჯო ფერნანდესს მოუგო 7:5, 6:4, ძონძროხა ამერიკელმა კი ესპანელ მაგუი სერნას 6:0, 6:3.

## სამშაბათი

რუმინელ ირინა სპირლეას (11) მიერ ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებისთვის მიყენებული ზარალი უკვე სოლიდურ თანხას შეადგენს. მან მაყურებელთა ფავორიტის — ანა კურნიკოვას გაგდება არ იკმარა და მას მასპინძელთა მთავარი იმედი — მონიკა სელეშიც (2) მიაყოლა. 1992 წელს უიმბლდონზე მატჩის დროს ლეგენდარულ მარტინა ნავრატილოვას თურმე მსაჯისთვის უთხოვია, იქნებ როგორმე გააჩუმო სელეში, დასაკლავი ღორივით ჭყვის და თამაშში ხელს მიშლისო. მაშინ მონიკა მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ახლა კი ისეთი ფორმაში აღარაა, თუმცა ოხვრა-კუთვაში პირველობას კვლავ ვერავინ შეეცილება. მთელი მატჩის განმავლობაში სელეში თითოეულ დარტყმას განწირულ შეძახილს აყოლებდა, მაგრამ მეტოქეს მაინ ვერა დააკლო რა. მატჩი კი ისეთი გამოვიდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე სელეშმა მოიგო — 7:5, თუმცა თავიდან 2:5-ს აგებდა. ტაი-ბრეიკი გათამაშდა მეორე ხელშიც. აქ მონიკას მატჩ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ სპირლეა ბადესთან ბრწყინვალე თამაშით გადარჩა, მერე კი 10:8 გაიმარჯვა.

მესამე სეტში კი ამერიკელს დაეტყო, უკანასკნელი ძალებიღა რომ შერჩენოდა. საქმე ისაა, რომ სელეში ორივე მხრიდან უმძლავრესი დარტყმებით ცდილობდა ფონს გასვლას, რასაც დიდი ენერგია მიჰქონდა, სპირლეა კი უბრალო მოჭრილი დარტყმებით პასუხობდა და არც გადაღლილა. მესამე სეტის დასაწყისში მან ძალიან უმატა თამაშს და მოწინააღმდეგე გაამწარა: სელეშს ვერაფრით გაეგო, მეტოქე შემოკლებულს დაარტყამდა, მოჭრილს თუ სწრაფ თავდასხმას განახორციელებდა. რუმინელმა ხელის დასაწყისში ბრეიკი გაახერხა, სელეშის უკანასკნელ მოწოდებაზე კი იმისთანა ბურთები მოიგო, ამერიკელი მაყურებელი ფეხზე წამოუდგა და პირველად თავის კარიერაში დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალს უწია.

სპირლეას მეტოქე ნახევარფინალში 17 წლის ზანგი ვინუს ვილიამსი იქნება. ამან ფრანგი სანდრინ ტესტიუს ძლევით ისე გაიხარა, კორტზე მოსულ ნათესავებთან ავარდა, მერე კი მაყურებლებს თავისი თმის სარჭებიც დაურიგა. მატჩის ანგარიშია 7:5, 7:5.

პიტ სამპრასის წაგებიდან ერთი დღის შემდეგ მის გზას კინაღამ მაიკლ ჩანგიც გაუდგა. იგი წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტს — ფრანგ სედრიკ პიოლინს ხვდებოდა. პირველი სეტის მოგების შემდეგ, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში პირველად, ჩანგმა 0:6 წააგო მეორე ხელი, მერე მესამეც დათმო და მეოთხეშიც 2:5-ს აგებდა. მაგრამ პიოლინს წინა შეხვედრა ლეანდერ პაესთან 4 საათს გაუგრძელდა და, როგორც მატჩის შემდეგ გამოტყდა, ამ დროისათვის არაქათი აღარა ჰქონდა. ჩანგმა კი მეტოქეს დაღლა რომ შეატყო, თავად მოუმატა, ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო. მეხუთე სეტში კი ფრანგი მხოლოდ იდგა და გაკვირვებული უყურებდა, სამი საათის ბრძოლის შემდეგ ჩია ამერიკელი როგორ დაფრინავდა კორტის სხვადასხვა კიდეებში და ყველა, თითქოსდა აუღებელ ბურთს უსწრებდა — 6:3, 0:6, 5:7, 7:5, 6:1.

სამი იოლი გამარჯვების შემდეგ პირველად წააწყდა წინააღმდეგობას ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი (13). მერვედფინალში მისი მეტოქე აღმავლობის გზაზე მდგარი ამერიკელი ანდრე აგასი იყო. ორივე ჩოგბურთელი კოლორიტული გარეგნობით გამოირჩევა და მშვენიერი სქესის დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობს. ჭრელ მაისურში გამოწყობილ რაფტერს პატარა იაპონური კიკინა ამშვენებს, თავხოტორა, ბლანჟემოშვებულ აგასის კი კაცისთვის უჩვეულო, ვარდისფერი სამოსი აცვია. მძლავრი მომწოდებლისა და საუკეთესო მიმღების შეხვედრაში



აგასი რაფტერთან აგებს

გამარჯვება პირველს დარჩა. რაფტერმა 16 ეისს ბადესთან შეუცდომელი თამაშიც დაურთო და მესამე სეტში დროებითი ჩავარდნის მიუხედავად მაინც მოიგო 6:3, 7:6 (7:4), 4:6, 6:3. თუმცა, ხანგრძლივ თამაშს გადაჩვეული ავსტრალიელი ისე დაიღალა, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისვლაც კი ველარ შეძლო და მწვრთნელის პირითღა შემოთვალა, მეხუთე სეტამდე რომ მისულიყო საქმე, უბრძოლველად დავნებდებოდიო. აგასიმ კი, წაგების მიუხედავად, კარგი შთაბეჭდილება დატოვა და დაამტკიცა, რომ მის მზეს ჩასვენებამდე ცოტა მაინც უკლია.



სპირლეა ფავორიტთა რისხვაა

ასე რომ, მასპინძლები თავისიანთა წარუმატებლობას გლოვობენ, თუმცა, არც ერთი მათგანი არაა ძირძველი ამერიკელი — სამპრასი ბერძენია, სელეში იუგოსლაველი, აგასიმ თავადაც არ იცის, გამარჯვებულ ჩანგს კი ბრმაც შეატყობს, სადაურია. ახლა ესენი ზანგ ვილიამსს და ერთადერთ ალალ ამერიკელ — დევენპორტსღა შეჰყურებენ იმედის თვალით.

მერვედფინალები: მარსელო რიოსი (10, ჩილე) — სერხი ბრუგერა (7, ესპანეთი) 7:5, 6:2, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ვეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:6 (7:5), 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



# ირაკლი ლიპარტელიანი 2020 წლის ოლიმპიადისთვის ემზადება



სოსო ლიპარტელიანს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისი ვაჟიანობამ გაუხალისა

ძიუდოს ქართველ ქომაგებს თუ ვინმესი ეიმედებათ კარსმომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რა თქმა უნდა, სოსო ლიპარტელიანისაც. ძველს თავი რომ დავანებოთ, შარშან, ატლანტის ოლიმპიადაზე სოსომ აკი დაამტკიცა, რომ დიდი სპორტსმენია — ოლიმპიურ მედალს, თუნდაც ბრინჯაოს არავის ჩუქნიან. მით უმეტეს, ასეთ წარმატებას შემთხვევით ვერ მიაღწევ. მახსოვს, მაშინ ბევრს გაუკვირდა ქართველი ძიუდოისტის ეს წარმატება, რადგან სპორტის ფუნქციონერები მედლებს სხვებს უგეგმავდნენ — შარშანდელ ევროპის ჩემპიონებს გიორგი რევაზიშვილსა და გიორგი ვაზაგაშვილს. ოლიმპიადის წინ ლიპარტელიანმა უკანა პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ მისმა ბრინჯაოს მედალმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ პროგნოზები სპორტში უსარგებლოა. რაც მთავარია, სოსომ, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძესთან ერთად ნამუსი მოსწმინდა ქართველ ოლიმპიელებს. ისინი რომ არა, ჩვენი დელეგაცია უმედლოდ დაბრუნდებოდა ატლანტიდან. არადა, სოსოს თქმით, მისი ატლანტური წარმატება გასაკვირი სულაც არ იყო. ეგ კი არა, იმასაც ნუ გაიკვირვებთ, თუ წელს მსოფლიოს ჩემპიონი გავხდიო — მითხრა.

**— სოსო, ვინ იქნებიან საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე შენი კონკურენტები?**

— უპირველესად, რა თქმა უნდა, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი ჯამელ ბურა. ძლიერი ძიუდოისტია, თანაც მშობლიური ქალაქში — პარიზში იჭიდავებს და, ცხადია, მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ბურას დიდად არ ჩამოუვარდება ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი იაპონელი კოგა, აგრეთვე ბელგიელი ლაატსი. ამ კაცმა წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ ჯამელ ბურას სძლია.

**— ვინც ახსენე, ეს ხალხი ყველა 78 კილოში ასპარეზობს, გამოდის, რომ შენც შენს წონაში, ამავე 78-ში გამოხვალ, მაგრამ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 86-ში იჭიდავე. რატომ?**

— წონის დაკლება, მოგეხსენება, გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ბევრ ენერგიასაც კარგავ. ამიტომ, მწვრთნელებთან შეთანხმებით ზედმეტი წონით ვიასპარეზე თბილისურ ტურნირზე. ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ, ვფიქრობ, ცუდად არ მიჭიდავია.

**— შენს წონაში მართლაც იშვიათი კონკურენციაა, ღმერთმა ქნას, ჩემპიონი გახდე, მაგრამ ამ ხალხთან ბრძოლა, ალბათ, გაგიჭირდება.**

— ჩემპიონობას რა სჯობია, მაგრამ არ ვიჩემებ, მაინცდამაინც ჩემპიონი გავხდები-მეთქი. აი, სამეულში კი აუცილებლად უნდა მოვხვდე.

**— წელან რომ ჩამოთვალე, იმ უცხოელი ძიუდოისტებიდან რომელიმეს თუ შეხვედრიხარ?**

— კი, ბელგიელ ლაატსს ვეჭიდავე 1993 წლის ევროპის ჩემპიონატზე და მეორე შეხვედრაში იპონით დავამარცხე.

**— ჩემპიონატისთვის მზადების პროცესი როგორ მიდის?**

— ნორმალურად, ჩემპიონატამდე თვეზე მეტია დარჩენილი და მანამდე ბევრი რამ შეიცვლება, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ. ორი შეკრება გვაქვს დარჩენილი — ბაკურიანისა და თბილისის. აი, ბოლო შეკრებისას აუცილებლად მივაღწევ ჩემს სასურველ ფორმას.

**— გავიგე, სიყრმის შვილი, თანაც ვაჟი შეგძენია, გილოცავ. რა დაარქვი?**

— დიდი მადლობა. ბიჭს ირაკლი დავარქვი. ვიცი, მკითხავ, ვისი სახელიაო. ბიძაჩემის, მამაჩემის ძმის სახელი დავანათლე — ძალიან კარგი კაცია ბიძაჩემი და ჩემგან იმსახურებს ამას.

**— თითქმის ყველა მოჭიდავე ვაჟის შეძენას ნატრობს — მოჭიდავედ გავზრდიო. შენც ამასვე აპირებ?**

— ვაპირებ კი არა, ასეც იქნება — ირაკლი ლიპარტელიანი ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდება.

**— და მამას აუხდენელ ოცნებას აუსრულებს?**

— არა, რატომ? მე რა, ჩამომწერე? ჯერ მე ვაპირებ ოლიმპიურ ჩემპიონობას, აი, ირაკლი კი მამის გზას გააგრძელებს და, რა თქმა უნდა, მასზე დიდი ფალავანი იქნება.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ავტორბოლა

### CART

# ზანარდი: შარი და ხმირი

CART-ის მორიგი ეტაპი ვანკუვერის ქუჩებში გაიმართა და აქ ჩატარებული რბოლების 8-წლიან ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ვერც მაიკლ ანდრეტიმ გაიმარჯვა და ვერც ალ ანსერმა.

პარასკევს, პირველ საკვალიფიკაციო სესიაზე საუკეთესო ზანარდი გახლდათ — 113,148 მილ-სთ, რომელმაც თითქმის 1 მილ-სთ-ით ჩამოიტოვა მეორეზე გასული პრუეტი. ჩემპიონობის კანდიდატთაგან დე ფერანი ერთ-ერთ მოსახვევში ბორდიურს წამოედო და ბოლიდი დაიზიანა, საბოლოოდ კი მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა. სესიის მეორე ნახევარში გაავდრდა და ამან პილოტებს ხელი შეუშალა მაღალი შედეგების მიღწევაში.

შაბათს ზანარდიმ თავისი შედეგი ოდნავ გააუმჯობესა — 113,481 მილ-სთ და პოული მოიპოვა. მეორე რაჰალი იყო, მესამე — შარშანდელი ჩემპიონი ვასერი, მათ უკან ანდრეტი და გუჟელმინი განლაგდნენ. დე ფერანი სათადარიგო ავტომობილით ასპარეზობდა და მე-7 ადგილს დასჯერდა. კვალიფიკაციაზე სუსტად გამოვიდნენ „პენსკე" — „მერსედესის" პილოტები ტრეისი (მე-17 პოზიცია) და ანსერი (22-ე).

#### განლაგება სტარტზე

ზანარდი (რეინარდ-ჰონდა), რაჰალი (რეინარდ-ფორდი), ვასერი (რეინარდ-ჰონდა), ანდრეტი (სვიფტ-ფორდი), გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი), ჰერტა (რეინარდ-ფორდი) დე ფერანი (რეინარდი-ჰონდა), ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი), მური (რეინარდ-მერსედესი), ფრანკიტი (რეინარდ-მერსედესი), პრუეტი (რეინარდ-ფორდი), ბოესელი (რეინარდ-ფორდი), რიბეირო (ლოლა-ჰონდა), ფიტიპალდი (სვიფტ-ფორდი), ჟურდენი (ლოლა-ფორდი), ფერნანდესი (ლოლა-ჰონდა), ტრეისი (პენსკე-მერსედესი), ჯონსტონი (რეინარდ-ჰონდა), პაპისი (რაინარდ-ტოიოტა), მორენო (რეინარდ-მერსედესი), ჰერნი (ლოლა-ფორდი), ანსერი (პენსკე-მერსედერსი), დანერი (რეინარდ-ფორდი), ფანხიო (რეინარდ-ტოიოტა), ჯონსი (რეინარდ-ტოიოტა), მაცუშიტა (რეინარდ-ტოიოტა), ვიტოლო (ლოლა-ფორდი).

სტარტიდან პირველი ზანარდი დაიძრა, მაგრამ მალევე შენიშნა, რომ მუხრუჭები ვერ მუშაობდნენ გამართულად. 15 წრის განმავლობაში პირველობა კი შეინარჩუნა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში „ვერ ჩაეტია", უსაფრთხოების ზონაში გადავიდა და 23-ე ადგილზე აღმოჩნდა. პირველ ადგილზე რაჰალმა გადაინაცვლა, რომელიც 25-ე წრემდე ლიდერობდა, შემდეგ კი პირველობისთვის ძირითადად ვასერი და გუჟელმინი იბრძოდნენ.



გუჟელმინი და დე ფერანი ფავორიტთა შორის არიან

ჩემპიონობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ტრეისმა კი პირველივე წრეზე დაასრულა რბოლა — ბეტონის ბარიერს შეეჯახა. მის გარდა კიდევ ათმა პილოტმა ვერ გაართვა თავი ტრასის სირთულეებს და რბოლა ავარიით დაასრულა.

მშვენივრად ასპარეზობდა ვასერი, რომელიც გასავლელი 100 წრიდან 46-ზე პირველობდა, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა — საბოლოოდ მეორე შედეგით დაასრულა რბოლა.

სანამ გუჟელმინი და ვასერი პირველობისთვის იბრძოდნენ, ჩამორჩენილთა შორის მოხვედრილი ზანარდი შეუპოვრად მიიწევდა წინ და 53-ე წრეზე მეექვსე იყო, ხოლო 70-ზე მესამე. ამის შემდეგ კვლავ მუხრუჭების პრობლემებმა იჩინა თავი და 83-ე წრეზე იტალიელი კვლავ ტრასის მიღმა აღმოჩნდა, ამჯერად ძრავი ჩაუქრა და მხოლოდ ტრასის მარშლების დახმარებით შეძლო ადგილიდან დაძვრა, თუმცა ერთი წრით ჩამორჩა. ზანარდი კვლავ არ შეურიგდა ბედს და დიწინაურებულებს შეუტია. ამ დროს ჰერტა ლიდერობდა, ზანარდი მასაც წამოეწია და გასწრება სცადა. ბოლიდები ერთმანეთს წამოედვნენ და ჰერტა ბარიერს შეეჯახა, ზანარდიმ კი ერთი წრით ჩამორჩენის ლიკვიდაცია მოახერხა და კვლავ წინ მიიწევდა. 94-ე წრეზე მეოთხეზე მყოფმა ანსერიც ჩამოიტოვა და რბოლაც ასე დაამთავრა. ასპარეზობის შემდეგ კი გამოცხადდა, რომ სახიფათო რბოლისთვის ზანარდი 25 000 დოლარით დაჯარიმდა და სეზონის ბოლომდე პირობითად არის დისკვალიფიცირებული.

მას შემდეგ, რაც იტალიელმა ჰერტას პირველობა დააკარგვინა, ლიდერობა გუჟელმინმა იგდო ხელთ და ფინიშზე 2.872 წამით (15 ავტომობილის სიგრძე) აჯობა ვასერს. ბრაზილიელმა 67 ჩატარებულ რბოლაში პირველად გაიმარჯვა.

ჩემპიონატში ლიდერობა კვლავ ზანარდის დარჩა, რომელიც მეორეზე მყოფ დე ფერანს 37 ქულით უსწრებს. ეს უკანასკნელი ჩემპიონატში გამარჯვების თეორიულ შანსს ინარჩუნებს. დარჩენილ ორ რბოლაში ქულათა შესაძლო მაქსიმუმი — 44 უნდა მოაგროვოს, თანაც ისე რომ ზანარდიმ 7 ქულის მოპოვება ვერ შეძლოს.

**ალეკო ჩაგუძიანი**

**რბოლის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. გუჟელმინი 1:47.17 (95.228 მილ-სთ) | 20 ქულა |
| 2. ვასერი | 16 |
| 3. დე ფერანი | 14 |
| 4. ზანარდი | 12 |
| 5. ანსერი | 10 |
| 6. ბოესელი | 8 |
| 7. ბლანდელი | 6 |
| 8. ჰერტა | 5 |
| 9. ფიტიპალდი | 4 |
| 10. რიბეირო | 3 |
| 11. ჯონსტონი | 2 |
| 12. ფანხიო | 1 |

ზანარდიმ დამატებით 1 ქულა მიიღო პოულისთვის, ვასერმაც 1 ქულა ლიდერობისთვის

პირადი პირველობა:

1. ზანარდი 181 ქულა; 2. დე ფერანი 144; 3. ტრეისი 121; 4. გუჟელმინი 115; 5. მური 111; 6. ანდრეტი 108; 7. ვასერი 107; 8. ბოესელი 86; 9. ბლანდელი 79.

## სიდნეი 2000

# ავსტრალიელები არაფერს იშურებენ

ავსტრალია, კერძოდ კი სიდნეი 2000 წლის ოლიმპიური თამაშების რომ უმასპინძლებდა, ჯერ კიდევ ორი წლის წინ გახდა ცნობილი. ასეთი საპასუხისმგებლო საქმის სათანადო დონეზე შესახვედრად ავსტრალიელები არაფერს იშურებენ და ახალი, 52-ათასიანი თანამედროვე სუპერსტადიონის აგებაც მოიწადინეს, რომელსაც ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის მატჩების სამასპინძლოდ გამოიყენებენ.

წინასწარი გაანგარიშებით დადგინდა, რომ „დოკლენდ სთედიუმის" აგება 318 მილიონი დოლარი დაჯდება. ასეთი თანხა მელბურნს, სადაც უნდა აიგოს ეს სტადიონი, არ აღმოაჩნდა, ამიტომ ქალაქის თავკაცებმა გამალებით დაიწყეს ზრუნვა ინვესტიციების მისაზიდად და უმალვე გაიჩინეს მეწილეები. სტადიონის აშენებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა აშშ-ის ბანკმა „მერილ ლინჩმა", საკაბელო ტელევიზია „სევენ ნეთვერქმა" და პოპულარული გაზეთებისა და სატელევიზიო არხების მფლობელმა რუპერტ მერდოქმა. მელბურნის ხელმძღვანელობამ აქედანვე განაცხადა, რომ „დოკლენდ სთედიუმის" აქციების უმეტესი პროცენტი ქალაქის კუთვნილება იქნება, დაახლოებით 40 პროცენტი კი აქციონერებში განაწილდება ჩადებული თანხის მიხედვით.

რაც შეეხება თავად ნაგებობას, იგი, როგორც ზემოთ ითქვა, 52 ათას მაყურებელზეა გათვლილი. რაღა თქმა უნდა, ყველა დასაჯდომი ადგილია. ექნება ორი თანამედროვე ტაბლო, ასევე სახურავი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გაიღება და დაიხურება. ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ სტადიონი ავსტრალიური ფეხბურთის მატჩების ძირითადი მასპინძელი გახდება. ამავდროულად „დოკლენდ სთედიუმი" მწვანე კონტინენტის უპირველესი სტადიონი იქნება, ხოლო მელბურნის „კრიკეტ გრაუნდი", რომელიც ახლა უპირველესია, ავსტრალიაში მეტად პოპულარული კრიკეტის მექად იქცევა.

**კახა არჯევანიძე**

## რაგბი

### საქართველოს პირველობა

# ზემ განახლდება

გუშინწინ საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში შედგა კრება, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის ჩატარებასა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა.

როგორც აქვე შევიტყვეთ, მოწინავე ექვსეული არავის მოისაკლისებს და ჭორები „აიას" უდროო „გარდაცვალების" შესახებ ერთობ გადაჭარბებულია. უმაღლესი ჯგუფი ორ წრედ იასპარეზებს. პირველი ოთხეული ფლეი-ოფში გავა. მატჩები იმ გუნდთა მოედანზე გაიმართება, რომელნიც I-II ადგილებს დაიბევებენ. პირველი მეოთხე ადგილზე გასულს ეთამაშება, მეორე — მესამეს. შემდეგ ნახევრფინალში წაგებულები შეერკინებიან და ჩემპიონატი 23 ნოემბერს ფინალური მატჩით დასრულდება. თუ თამაშები ფრედ დამთავრდება, ინიშნება დამატებითი 20 წუთი — ორი 10-წუთიანი ტაიმი მოედნის შეცვლით. თუ კვლავ ვერ გაირკვა გამარჯვებული, მატჩი პირველ გატანილ ქულამდე გრძელდება.

14-15 სექტემბერს შედგება თბილისის ღია პირველობა საშვიდკაცო რაგბში. სადაც I და II ლიგის გუნდები იასპარეზებენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ წლეულს მოწინავე ექვსეულს არც ერთი გუნდი დატოვებს, ქვედა ლიგიდან მას ორი დაემატება, რომელიც თავის მხრივ ორი გუნდით შეივსება, ოღონდ მათი ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**ექვსეულის განრიგი**

| I წრე | | | II წრე | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I ტური | | | VI ტური | |
| შაბ | 06.09 | ასკ - აზოტი | შაბ | 25.10 | აზოტი - ასკ |
| შაბ | 06.09 | აია - ქორები | შაბ | 25.10 | ქორები - აია |
| შაბ | 06.09 | ყოჩები - გუმარი | შაბ | 25.10 | გუმარი - ყოჩები |
| | II ტური | | | VII ტური | |
| ოთხ | 10.09 | აზოტი - გუმარი | ხუთ | 30.10 | გუმარი - აზოტი |
| ოთხ | 10.09 | ასკ - აია | ხუთ | 25.10 | აია - ასკ |
| ოთხ | 10.09 | ქორები - ყოჩები | ხუთ | 25.10 | ყოჩები - ქორები |
| | III ტური | | | VIII ტური | |
| ხუთ | 18.09 | აია - აზოტი | ორ | 03.11 | აზოტი - აია |
| ხუთ | 18.09 | ყოჩები - ასკ | ორ | 03.11 | ასკ - ყოჩები |
| ხუთ | 18.09 | გუმარი - ქორები | ორ | 03.11 | ქორები - გუმარი |
| | IV ტური | | | IX ტური | |
| სამ | 23.09 | აზოტი - ქორები | შაბ | 08.11 | ქორები - აზოტი |
| სამ | 23.09 | აია - ყოჩები | შაბ | 08.11 | ყოჩები - აია |
| სამ | 23.09 | ასკ - გუმარი | შაბ | 08.11 | გუმარი - ასკ |
| | V ტური | | | X ტური | |
| შაბ | 27.09 | ყოჩები - აზოტი | ხუთ | 13.11 | აზოტი - ყოჩები |
| შაბ | 27.09 | გუმარი - აია | ხუთ | 13.11 | აია - გუმარი |
| შაბ | 27.09 | ქორები - ასკ | ხუთ | 13.11 | ასკ - ქორები |

**ფლეი-ოფის განრიგი**

| ნახევარფინალები | | | მცირე ფინალი | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამ | 17.11 | I - IV | კვი | 23.11 | |
| | თამაში პირველის მოედანზე | | | ფინალი | |
| ოთხ | 18.11 | II - III | კვი | 23.11 | |
| | თამაში მეორის მოედანზე | | | | |

**„ბ" ჯგუფის განრიგი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I ტური | | | IV ტური | |
| კვი | 07.09 | შევარდენი - თბილისი | ოთხ | 08.10 | თბილისი - შევარდენი |
| კვი | 07.09 | დინამო - უნივერსიტეტი | ოთხ | 08.10 | უნივერსიტეტი - დინამო |
| | II ტური | | | V ტური | |
| ხუთ | 18.09 | შევარდენი - დინამო | ოთხ | 15.10 | თბილისი - უნივერსიტეტი |
| ხუთ | 18.09 | უნივერსიტეტი - თბილისი | ოთხ | 15.10 | დინამო - თბილისი |
| | III ტური | | | VI ტური | |
| კვი | 21.09 | უნივერსიტეტი - შევარდენი | ოთხ | 22.10 | დინამო - შევარდენი |
| კვი | 21.09 | თბილისი - დინამო | ოთხ | 22.10 | თბილისი - უნივერსიტეტი |

## კალათბურთი

# აზოტს 11 სექტემბერს ვუქომაგებთ

*რუსთავის „აზოტის" კალათბურთელებმა კორაჩის თასისთვის მზადება 23 ივნისს დაიწყეს, ორი ორკვირიანი შეკრებაც მოიწყვეს, შუალედში კი ადგილობრივ ვარჯიშობდნენ. მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე გუნდს ამჟამად დღეში ორჯერ ავარჯიშებს, დილით რუსთავში, საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც იგი წუხელ მოვინახულეთ და აზოტისეულ სიახლეებს დავეკითხეთ.*

— მზადების დასაწყისიდანვე „აზოტს" რამაზ გოგობერიშვილი და მიხეილ ბერუაშვილი დაუბრუნდნენ. ახლახან მათ სდასუელი ალეკო დავითულიანი და დინამოელი ვაკო ბეჟანიშვილი მიემატნენ. გუნდი ინტენსიურად ვარჯიშობს, რაშიც დიდად გვეხმარებიან თბილისის „დინამოელები" — დღეს მათთან მეოთხე ტესტ-მატჩს ვთამაშობთ.

**— ტალინის „ესტონია ფაიერსთან" შეხვედრა 10-ის ნაცვლად 11 სექტემბერს გაიმართება...**

— მართლაც ასეა, ადრე გამოცხადებული 10 სექტემბრის მაგივრად 11-ში ვითამაშებთ, შეხვედრა 18 საათზე დაიწყება თბილისის სპორტის სასახლეში. მოგეხსენებათ, 10-ში ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული საფეხბურთო ნაკრებები იტალიას ეთამაშებიან. ამის გამო ფიბას თხოვნით მივმართეთ, მატჩი ერთი დღით გადაეტანა.

**— „ესტონია ფაიერსზე" რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არ მოგიპოვებიათ?**

— მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ხუთი კალათბურთელი ეროვნულ გუნდში ჰყავთ, ხუთიც — ახალგაზრდულში. მწვრთნელად კი ესტონეთის ნაკრების თავკაცი იაკ სალომეცი ჰყავთ.

# ქალებო ყველა ქვეყნისა...

ივნისის ბოლოს NBA-მ ახალი შვილობილი — ქალთა საკალათბურთო ლიგა გამოიყვანა ხალხში. ერთი შეხედვით სარისკო წამოწყებამ ყველაზე თამამ იმედებსაც კი გადააჭარბა: თითო თამაშს სავარაუდო 4000-ის ნაცვლად საშუალოდ 9669 მაყურებელი ჰყავდა. ბილეთების სიიაფემ ქალთა ლიგა საოჯახო სანახაობად აქცია და თუმც შემოსავლიან საქმედ ჯერ არ ითვლება, უფრო მეტი სპონსორი და უფრო მაღალი სატელევიზიო რეიტინგი მოიპოვა, ვიდრე ვინმე მოელოდა.

ლიგის წარმატება მეტწილად თავად მოთამაშეებმა განაპირობეს. ისინი NBA-ს ვარსკვლავებისგან განსხვავებით თავიანთ გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს ძალზე გულთბილად ეპყრობოდნენ. ავსტრალიელი ქერა მცველი მიშელ ტიმსი ავტოგრაფებს საათობით არიგებდა, ნიუ იორკ ლიბერტელი ტერეზა უეზერსპუნი კი მსურველთათვის ხელის ჩამორთმევასა და ფოტორეპორტიორთათვის პოზირებას არ იზარებდა. ასევე იქცეოდა WNBA-ს მთელი შემადგენლობა. ქალებში დიდი ფული ჯერ არ ტრიალებს — საშუალო ანაზღაურება 30 000 დოლარია, მაგრამ NBA-ს მოთამაშეებისგან განსხვავებით (საშუალო ხელფასი 2,3 მილიონი დოლარი) მათ ღვარძლიანებად და ხარბებად არავინ თვლის.

ხანმოკლე სეზონის განმავლობაში გუნდებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს და მიუხედავად იმისა, რომ ჩატენვებამდე, ჰაერში დაკიდებამდე და „ჩიკაგო ბულზამდე" ბევრი უკლიათ, მათი ყურება მოსაწყენი სანახაობა ნამდვილად არ არის. თავიდან ლიგას ერთი დაუმარცხებელი, აშკარა ლიდერი ჰყავდა — „ნიუ-იორკ ლიბერტი", მაგრამ მერე და მერე ესენი დაიღალნენ, სხვებმა კი მოუმატეს და რეგულარ სეზონში გამარჯვება ჰიუსტონელ „კომეტებს" დარჩათ, რომელთა რიგებშიც თამაშობს ქალთა პირველი ყველაზე ძვირფასი მოთამაშე — სინთია კუპერი. ჩემპიონობისათვის ფინალურ მატჩშიც სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს და ლალი შეტევის მიმდევარმა ჰიუსტონმა აქაც დაამარცხა დაცვაზე გაფაციცებული ნიუ-იორკი.

აქამდე ამერიკაში ქალათა არცერთ ლიგას არ მოუპოვებია წარმატება, ამიტომ ბევრს მიაჩნია, რომ ამისთვის WNBA და მისი მეტოქე — ამერიკის საკალათბურთო ლიგა, რომელსაც ნაკლები სპონსორი, მაგრამ უკეთესი მოთამაშეები ჰყავს, უნდა გაერთიანდნენ. მანამ კი WNBA მაინც ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური ლიგაა მსოფლიოში. NBA-ს სამარკეტინგო გენიოსებმა იმისთვისაც იზრუნეს, რომ აქ ყველა კონტინენტი ერთი მოთამაშით მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი. მაკიკო ჰაგივარა იაპონური კალათბურთის ლეგენდაა, აქვეა ინგლისელი ანდრეა კონგრივსი, გერმანიის ნაკრების წევრი მარლი ასკამპი, ბრაზილიელი ჯანეტ არკანი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი და უმძიმესი ქალი — 203 სანტიმეტრი სიმაღლის და 115 კილოგრამი წონის ფენ ჰაისია, რუსი ბარანოვა...

**გაიოზ ბერიძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29